საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 29 ნოემბერი, 2013 წელი.

№230 (7358)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

სწრაფი რეაგირების ლეგიონები



რა თქმა უნდა, საზოგადოებას სჭირდება განსხვავებულთა მშვიდობიანი თანაარსებობა, რომ არავინ არავისგან არ დაიჩაგროს, რომ ძალადობა ყოველთვის დასაგმობია. მაგრამ, ამ მეთოდებით: სოციალურ ქსელებში მოიერიშე ჯგუფების ჩამოყალიბებით, რომლებიც მიმართავენ ცილისწამებას, დემაგოგიას, პიროვნების დისკრედიტაციას, შეცდომაში შეჰყავთ ახალგაზრდობა, შეგნებულად თუ შეუგნებლად გამოდიან გარკვეული (თუ გაურკვეველი) პოლიტიკური თუ ფინანსური ძალების ინსტრუმენტად, – რომ ვერ მოხერხდება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობა დანარჩენ საზოგადოებასთან (პირიქით, მათ მწერლის წინააღმდეგ წამოწყებული ამ კამპანიით ბევრი დამცველი დაკარგეს)?! და ჩნდება შეკითხვა: მართლა უნდა ამ ჯგუფს მშვიდობიანი თანაარსებობა? ამ ბოლო შემთხვევის ანალიზი გვაძლევს ეჭვის გამოთქმის საშუალებას

7

თბილისს სურს, უკრაინა ევროკავშირში იხილოს, მაგრამ ხელისუფლებას განზრახული არა აქვს, ჩაერიოს სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში

8

ნარმანიამ ბიუჯეტი გადაარჩინა?

4

ფარმაცევტული სექტორი ცვლილებების წინ ნიადაგს იმყარებს

2

მემორიალი ერის ისტორიულ მეხსიერების სიმბოლოდ

5

პენსია უნდა ეყოს კაცს თუ კაცი – პენსიას?

6

აშენების რა პერსპექტივა აქვს ანაკლიის პორტს?

6

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების პარაფირება დასრულებულია

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ვილნიუსიდან იუწყება , პროცესი ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

1000-გვერდიანი დოკუმენტის პარაფირება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძესთან ერთად განახორციელა.

დავით ზალკალიანი ამ დღეს ისტორიულს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ამიერიდან საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი შეუქცევად ხასიათს იღებს.

— ამ ხელშეკრულების გაფორმებით ევროპასთან ინტეგრაციის იურიდიულ ჩარჩოებში ვექცევით. ეს არ არის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეკრულება, მაგრამ ამ ხელშეკრულებით საქართველოს ევროპეიზაციის პროცესი შეუქცევადი ხდება. მინდა, მივულოცო საქართველოს მოსახლეობას ამ ხელშეკრულების გაფორმება. ჩვენ ევროკავშირთან ინტეგრაციის ძალიან საპასუხისმგებლო ეტაპზე გადავდივართ. ეს არის ჩვენი ხალხის ურყევი არჩევანი, რასაც ყველა ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს, — აღნიშნა დავით ზალკალიანმა.

ამასთან, მინისტრის მოადგილის განმარტებით, გავრცელდა ინფორმაცია დეკლარაციიდან ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებული მუხლის ამოღების შესახებ, თუმცა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

— მსგავსი მუხლი დეკლარაციაში არ ყოფილა. ზოგიერთი მედიასაშუალება ამის უტლრირებას ახდენს. ევროკავშირთან ასოცირებაზე მოლაპარაკებისას წევრობაზე საუბარი არ ყოფილა. წევრობა შემდეგი ეტაპია, ეს ხელშეკრულება კი გულისხმობს ევროკავშირთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ეტაპობრივ ინტეგრაციას, — აღნიშნა ზალკალიანმა.

ირაკლი ღარიბაშვილი ალექსანდრა ჰოლ ჰოლს და სერ გარი ჯონსონს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ელჩს საქართველოში ალექსანდრა ჰოლ ჰოლს და ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველს უსაფრთხოებისა და კრიზისული სიტუაციების მართვის საკითხებში, გენერალ სერ გარი ჯონსონს შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სტუმრებმა ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერ-მინისტრად დანიშვნა მიულოცეს და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვეს.

შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების საკითხებზე ისაუბრეს და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

ინტერპრესი

◎ შელწევა

ქართული თაფლი და კალმახი საერთაშორისო ბაზარზე გადის

რა შელავათებს მიიღებენ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შედეგად ქართველი მეწარმეები?

არიან თუ არა მზად ქართული კომპანიები ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად?

შეგახსენებთ: საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილის ბორის იაროშევიჩის განცხადებით, ევროკავშირის ბაზარზე ქართულ თაფლს და კალმახს გაიტანენ.

თუმცა როგორც commersant,ge-ს თაფლის კომპანია „ფეფეს“ დირექტორმა გიორგი ტატიშვილმა განუცხადა, ამ ეტაპზე ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად თაფლის კომპანიები მზად არ არიან, რადგან საქართველოში არ არსებობს ლაბორატორია, რომელიც აღნიშნული პროდუქციის ხარისხს შეამოწმებს.

ტატიშვილის განმარტებით, სხვა მხრივ კომპანიას პრობლემები არ აქვს და ლაბორატორიის შექნის შემდეგ ევროკავშირის ბაზარი მათთვის ხელმისაწვდომი გახდება.

„როგორც ვიცი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ლაბორატორიის შექმნაზე უკვე მუშაობს და თუ ეს პრობლემა მოგვარდება, კომპანია პროდუქციის მხრივ როგორც ქართული ისე ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს,“ — აცხადებს ტატიშვილი.

„თელავის ღვინის მარნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ რამაზაშვილის განცხადებით კი, ევროკავშირის ბაზარზე მათი კომპანიის პროდუქცია უკვე დიდი ხანია წარმოდგენილია და მათთვის ბაზრის მოთხოვნები ხარისხთან დაკავშირებით პრობლემას აღარ წარმოადგენს. კერძოდ კი, რამაზაშვილის განცხადებით, იმისთვის რომ ღვინის კომპანია ევროკავშირის ბაზარზე შევიდეს, მან ნატურალური ღვინო უნდა აწარმოოს.

„ფილტრაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე ვენახის შეწამვლას. თუ სერთიფიცირებული პროდუქციით არ შეწამლავ, ევროკავშირის ბაზარზე ვერ შეხვალ,“ — აცხადებს რამაზაშვილი.

მისივე თქმით, ისინი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ქართული კომპანიებისთვის შეღავათების დაწესებას ელოდებიან, თუმცა, რამაზაშვილის თქმით, მისთვის უცნობია, რა სახის შეღავათები იქნება ეს.

ინფორმაციისთვის: 2013 წლის პირველი შვიდი თვის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის მხოლოდ 17% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე.

ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება 28—29 ნოემბერს, ვილნიუსის სამიტზე იგეგმება, მისი ხელმოწერა კი მომავალი წლის სექტემბერში უნდა მოხდეს.

◎ წამლის ფასი

ფარმაცევტული სექტორი ცვლილებების წინ ნიადაგს იმყარებს

ფარმაცევტულ სექტორში ახალი წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება. დაიწყება წამლების ხარისხის კონტროლი, პარალელურად კი დიდი ქართული ლაბორატორიის ამოქმედებაც. მანამდე კი ბაზრის მსხვილი მოთამაშეები ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის და მისი მთავრობის ნაბიჯებს დადებითად აფასებენ.

ფარმაცევტული სექტორი ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობის მთავარ დამსახურებად მედიკამენტებზე ფასების დაწევას მიიჩნევს. „ჯიპისის“ გენერალური დირექტორი დავით კილაძე ცვლილებებს ახალი პრემიერისა და მთავრობის პირობებშიც ელოდება. თუკი მოხდა საბაზრევეო სისტემის მაქსიმალური ჩართვა წამლის კომპონენტის ანაზღაურების პროცესში, ეს მედიკამენტების კიდევ უფრო გაიაფებას გამოიწვევს. იგი მედიკამენტების რეცეპტით გაცემის ინიციატივას მიესალმება, რადგან ეს ფაქტი დარგის განვითარებას ხელს შეუწყობს.

კომპანია „პეესპეში“ კი განმარტავენ, რომ სწორედ ივანიშვილს უკავშირდება წამლების ფასების საკითხის წამოწევა, რის შედეგადაც თავად ფარმაცევტული კომპანიები გააქტიურდნენ და საერთო ჯამში, მედიკამენტები 25%-ით გაიაფდა.

„პეესპეს“ დამფუძნებლის კახა ოქრიაშვილის თქმით, ივანიშვილის მთავრობის დამსახურებაა „ც“ ჰეპატიტით დაავადებულებისთვის მკურნალობის გაიაფებაც. თუმცა, ოქრიაშვილი სკეპტიკურად არის განწყობილი მედიკამენტების რეცეპტით გაცემის საკითხისადმი და თვლის, რომ შესაძლოა, ეს კორუფციის წინაპირობა გახდეს. იმავდროულად „პეესპეს“ დამფუძნებელი ახალი პრემიერის და მთავრობის პირობებში წამლების ხარისხის კონტროლის გამკაცრებასა და ადგილობრივი წარმოებისთვის ხელშეწყობას ელოდება.

ამასთან დაკავშირებით ფარმაცევტებს დიდხანს ლოდინი ნამდვილად არ მოუწევთ, რადგან ახალი ხელისუფლება, ჯანდაცვის კლანური სისტემის საწინააღმდეგო კამპანიასთან ერთად, წამლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვას იწყებს. კონტროლი 2014 წლიდან დაიწყება და პარალელურად დიდი ქართული ლაბორატორიის შექმნაც იგეგმება.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს თქმით, მედიკამენტების ხარისხის კონტროლის არარსებობის ან არასრულფასოვანი არსებობის გამო, ადგილობრივი ფარმაცევტული წარმოება იჩაგრება. მას შემდეგ კი, რაც მოხდება ადგილობრივი წარმოების მედიკამენტების ხარისხის დადასტურება ან უარყოფა, მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სახელმწიფო შესყიდვებში მიიღონ მონაწილეობა.

ექსპერტები კი ფარმაცევტულ სექტორში არსებული მდგომარეობის მიმართ უფრო კრიტიკულები არიან. მათი აზრით, ადგილობრივ ბაზარზე ისევ ოლიგოპოლიაა და რამდენიმე ძლიერი კომპანია ერთმანეთთან გარიგებულია, შესაბამისად, ბაზრის დიდ ნაწილს კვლავაც ისინი აკონტროლებენ.

„მაგალითად, ერთ მსხვილ კომპანიას პირობითად, შემოაქვს ერთი დასახელების წამალი, მეორეს კი სხვა, რასაც ერთმანეთს უნაწილებენ და მათზე ფიქსირებულ ფასს აწესებენ. მათ გარდა სხვა იმპორტიორებს მწარმოებლებთან კონტრაქტის გაფორმება არ შეუძლიათ. ამიტომ ყველა აფთიაქი ფარმაცევტულ ბიზნესში ამ მთავარ მოთამაშეებზე არის დამოკიდებული. რაც მთავარია, სახელმწიფოს არ აქვს ფასების თვითღირებულების დადგენის, ფასნამატის განსაზღვრის და მათი რეგულაციის მექანიზმი, ამ ყველაფერს ისევ მონოპოლისტი კომპანიების თამაშის წესები განსაზღვრავენ. ჩვენთან წარმოებული მედიკამენტი საქართველოში უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში, შემოტანილი მედიკამენტები კი ევროპის ქვეყნებში უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში“, — აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „გახსოვდეს ჰიპოკრატეს“ წარმომადგენელი მარინა ბერაძე.

მისი ინფორმაციით, დასავლეთის ქვეყნებში საბითუმო ქსელის მეპატრონეებს საცალო ქსელის გახსნის უფლება არ აქვთ, საქართველოში კი ეს დაშვებულია.

„ჩვენთან მონოპოლისტური ფარმაცევტული კომპანიების მფლობელობაშია ერთდროულად ფარმაცევტული წარმოება, სამედიცინო დაწესებულებები და საბაზრევეო კომპანიები. ამ სიტუაციაში ექიმი ისეთ და იმდენ წამალს გამოწერს, რომელიც, უპირველესად, სარგებელს არა პაციენტს, არამედ იმ კომპანიას მოუტანს, ვისაც ის ემსახურება. ძალიან სახიფათოა ექიმის გარიგება ფარმაცევტულ კომპანიასთან. საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო ან თუნდაც კერძო, მაგრამ მონოპოლისტებისგან დამოუკიდებელი ლაბორატორია, რომელიც მედიკამენტების ხარისხს შეამოწმებს“, — დასძენს მარინა ბერაძე.

ეკა ბაძრაძე

◎ ინფორმაცია

თორმეტწლიანი უშუქობა დასრულდა

12-წლიანი უშუქობის შემდეგ თიანეთის რაიონის სოფელ გრძელველს ელექტროენერგია მიეწოდება. „ენერგო-პროს“ ინფორმაციით, კომპანიამ დაასრულა ელექტროქსელის მოწყობის სამუშაოები, რომლებიც თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. სოფლების ელექტრიფიკაციის პროექტი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ძალისხმევით ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო სამუშაოების უშუალო შემსრულებელია სს „ენერგო-პრო ჯორჯია“.

დენი უკვე მიეწოდა კიდევ 4 სოფელს, რომლებიც ასევე წლების განმავლობაში არ მარაგდებოდნენ ელექტროენერგიით. კერძოდ, ელექტროენერგიის ქსელი შეყვანილია ქარელის რაიონის სოფელ ლეთეთში (16 აბონენტი), ხაშურის რაიონის სოფელ ღართაში (31 აბონენტი), მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისსა (19 აბონენტი) და ახალციხის რაიონის სოფელ უტყისუბანში (14 აბონენტი). 2013 წლის ბოლომდე დასრულდება კიდევ 3 სოფლის ელექტრიფიკაცია.

ინტერპრესი

◎ არის ასეთი აზრიც

პუტინის ფენომენი

რუსეთის **დღევანდელი პრეზიდენტი უღიმღამო არარაობად ითვლება. „რას ჰგავს“ — ჯერ ერთი! ოოოოო . . . ეს არც თუ ისე ცოტაა. აბა, როგორ შეედრება ჩვენს „ლამაზსა და ახოვანს“ — როგორც მიშა დაახასიათა ერთმა ქართველმა „ელიტარულმა ინტელიგენტმა“ 2004 წლის პრეზენტაციისას. პუტინი რას მოვიდოდა ან მასთან, ან ამერიკელ არისტოკრატებთან? მაგალითად, ჯო ბაიდენთან, რომლის დახვეწილმა მანერებმა ქართული ელიტა აღაფრთოვანა. მაგრამ . . . . ერთი აბეზარი კითხვა კი მუდამ შემოგეპარება ხოლმე: როგორ მოახერხა ამ „არარაობამ“, ამ „უღიმღამობამ“ (რუსულად Посредственность — სხვათა შორის, სწორედ ასე ახასიათებდა სტალინს იმდროინდელი ინტელექტუალური „არისტოკრატი“ ტროცკი — ბრონშტეინი) ესოდენ „დაეჩმორებინა“ მთელი დასავლეთი ჯერ 2008 წელს, შემდეგ სირიისა და ახლა უკვე უკრაინის შემთხვევაში?**

ვითომ მხოლოდ ნავთობის ან ბირთვული იარაღის გამო? ბირთვული იარაღი და ნავთობი საბჭოთა კავშირს რომ ჰქონდა... უპირატესობებსა და რესურსებს გამოყენება უნდა. თანაც, ჭკვიანური გამოყენება. პუტინი კი ამას ძალიან ჭკვიანურად და ოსტატურად იყენებს; მუშაობს უხმაუროდ, ჩუმად, განსაკუთრებული პრომოუშენისა და პიარის გარეშე. შედეგად კი გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს, ხოლო რუსეთმა, ამ „სიმახინჯის“, ამ „არარაობისა“ და „უღიმღამობის“ უკვე მრავალწლიანი ხელმძღვანელობით, ზესახელმწიფოს სტატუსი დაიბრუნა და მსოფლიო ლიდერადაც იქცა!

დიახ, დიახ, არა ამერიკა, რომლის ბოლოდროინდელმა გონებაჩლუნგმა და მთხლე მმართველებმა თავისი დიდი ქვეყანა ესოდენ დააკნინეს და რამდენჯერმე კიდეც შეარცხვინეს, არამედ სწორედ „არარაობა პუტინის“ რუსეთი განსაზღვრავს ამჟამად მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგს. მოგვწონს ჩვენ თუ არა.

ჰო, მართლა, ალბათ, „გაზპრომმა“ მოისყიდა „Forbes“-ი, რომელმაც ეს „ულიმღამობა“ (ქართული „პროდასავლურ-სვეტსკი“ საზოგადოებისა და ვესტერნიზებულ ფსევდოინტელექტუალთა მუდმივ ამრეზას რომ იწვევს) მსოფლიოს ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად დაასახელა. ვითომ მარტო ნავთობის გამო? ამ ლოგიკით, ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი მისი უდიდებულესობა აბდალლა იბნ აბდელ აზიზ ალ საუდი უნდა იყოს, რაკი საუდის არაბეთში მოპოვებული ნავთობის თვითღირებულების გათვალისწინებით, მსოფლიო ბაზარზე ნებისმიერ დროს შეუძლია თერმობირთვული გავლენა მოახდინოს. მაგრამ არა — ის „სიმახიჯე და არარაობა“ პუტინია დღეს მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი. ერთადერთი ზესახელმწიფოს პრეზიდენტი და ევროპელი ლიდერები კი სადღაც მის უკან მიჩანჩალებენ საწყალობლად.

ისე, გარეგნობა მართლა არ უწყობს ხელს. ჩვენი „ლამაზი და ახოვანისგან“ განსხვავებით, ანუ ცნობილი პიანისტის საჯარო ექსტაზის თემა იგი ნამდვილად ვერ გახდებოდა. მაგრამ, რაც შეეხება პოლიტიკას (რომელიც, როგორც ცნობილია, შედეგით ფასდება), დავაკვირდეთ, რა დიდოსტატურად აკეთებს საქმეს ყველაფრის მიუხედავად. მხოლოდ ერთი ასპექტი ავიღოთ: ელიტათა და მასის დაპირისპირება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში.

* * *

უკრაინა ბობოქრობს, აპროტესტებს, ანგრევს, გლეჯს, მოითხოვს... მაგრამ მართლა უკრაინა მოითხოვს თუ მხოლოდ მისი პროდასავლურ-ვესტერნიზებული ელიტა? აბა, ასე რომ იყოს, ანუ ევროინტეგრაცია თუ უკრაინელთა აბსოლუტური უმრავლესობის ღირებულებითი არჩევანი და მისწრაფებაა, მაშინ იანუკოვიჩს რა რჯიდა, ბოლო მომენტში გადაეთქვა და ამით ახალი „მაიდნის“ სამკვდრო-სასიცოცხლო რისკზე წასულიყო? ხომ ნათელია, რომ თუ ეს „მაიდანი“ განხორციელდა, მისი ბოლო დნეპროპეტროვსკის ციხე იქნება?

მართლაცდა, რატომ?

იმიტომ, რომ, რაც ვილნიუსის სამიტზე ხელმოწერის შემთხვევაში ელოდა, ის ბევრად უარესი და ბევრად რეალური იყო!!! მაშინ არა მხოლოდ ელიტა, არამედ მილიონობით „უბრალო უკრაინელი“ გამოვარდებოდა ქუჩაში, რაკი რუსეთის ბლოკადის გამო დაკარგავდა სამუშაოს და დარჩებოდა მშიერი.

უკრაინელი ელიტარებისთვის (ისევე, როგორც მათი ქართველი „კოლეგებისთვის“) „ევროპა“ კურფიურსტერდამზე ცივი ლუდის წრუპვაა, ან ბოსტონის სანახებში მოდური ველოსიპედით სეირნობა — ჰარვარდის რომელიმე School-ში სემინარის დაწყებამდე. მათ, რასაკვირველია, ევროპასთან ასოცირება უნდათ და არა იმ „გოიმური რუსეთის“ საბაჟო კავშირი. თუმცა, „არარაობა“ პუტინს რომ არასწორად გაეთვალა, იანუკოვიჩი მათ გადაკიდებას ნამდვილად არ არჩევდა მასათა მოსალოდნელ მძვინვარებას.

იგივე მეთოდი გამოიყენება **საქართველოშიც:** ახლა კი შეუშვეს მანდარინი რუსულ ბაზარზე, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რათა ერთი წლის შემდეგ, როცა ჩვენც მივადგებით „ხელმოწერას“, ბაზარი კვლავ ჩაკეტონ. მერედა, რა ამით, ქართულ ელიტას? არც არაფერი! სულ არ „კიდიათ“, ის „გოიმი გლეხი“ მანდარინს გაყიდის თუ არა როსტოვში, ან რამდენად რეალურია, ლონდონში გაყიდოს იგივე მანდარინი „ასოცირების“ შემდეგ. მთავარია, თვითონ ჰქონდეთ პარიზის ბუტიკებში ზანტად სეირნობის საშუალება.

საერთოდ, სოციალური თემატიკა ამ ქვეყანაში უცნაურად ტაბუირებულია. „მოვე ტონად“ ითვლება, რაც უპასუხისმგებლობით გათახსირებულ და გაქსუებულ ქართულ ელიტას, უკვე მრავალი წელია, საშუალებას აძლევს, „დაიკიდოს“ უბრალო აჭარელი „მემანდარინე“ თუ გორელი „მევაშლე“ გლეხის ინტერესები.

ძალზე საეჭვოა, ერთი წლის შემდეგ, ამ „გლეხებისა და გოიმების“ ისევე შეეშინდეთ, როგორც იანუკოვიჩს შეეშინდა უბრალო უკრაინელთა გარდაუვალი რისხვისა. ჩვენი ხალხი, უკვე მეტისმეტად დიდი ხანია, ქეციანი ძაღლივით მორჩილი და უტყვია. ამიტომ მის რეაქციას (ისევ და ისევ, განსახვავებით უკრაინისგან, სადაც ხალხი ელიტამ ასე ვერ დააბეჩავა) შეიძლება სულაც არ მიაქციონ ყურადღება. რა ენაღვლებათ რუსეთთან უვიზო რეჟიმი, როდესაც შენგენის ხუთწლიანი ვიზები ჯიბეში უდევთ?

ანუ აქ თითქოს ყველაფერი „დალაგებული“ აქვთ, მაგრამ . . . კიდევ არის ერთი „მაგრამ“: როდესაც 2008 წელს „საქმე საქმეზე მიდგა“, იმ უბრალო გლეხებმა თქვეს: **„ჰოდა, თუ ასეა და თუკი ჩვენი სახელმწიფო ჩვენს ინტერესებს ასე ფეხებზე იკიდებს, მაშინ თქვენ იომეთ ამ სახელმწიფოსთვის თქვენი დედაც..!“**

ისე, მრავლისმნახველ ქართულ ტელესივრცეში ერთი დაუვიწყარი ინტერაქტივი იყო: 2006 თუ 2007 წელს, „იმედმა“, თოქ-შოუს მიმდინარეობისას, ტელემაყურებელთა გამოკითხვა მოაწყო და **აღმოჩნდა** (თუ ბიჭები და გოგოები არიან, უარყონ), **რომ უბრალო ქართველი ტელემაყურებლის უმრავლესობას პუტინი უფრო მოსწონდა, ვიდრე იუშჩენკო ან საკუთარი „ლამაზი და ახოვანი“.** ამან კიევიდან ჩართული სავიკ შუსტერის გაოგნება გამოიწვია და იმედის პროდიუსერთა დაკივლებისთანავე (არ არის გამორიცხული ტელევიზიის იმდროინდელ მფლობელს დაერეკა დედის ....ს გინებით: „ამათ ეს უნდათ კიდევ, რას მიშვრებითო“) ტელეეკრანზე ციფრები, რა თქმა უნდა, უმალ შეიცვალა.

ამ ფაქტს ვერ უარყოფენ, იმიტომ, რომ ზუსტად ასე იყო!

„ეს რა დებილი და დეგენერატი ხალხის შვილები ვყოფილვართო“.

დებილები, დეგენერატები და უპასუხისმგებლო ნაძირალები თქვენ ხართ! თორემ ეს სახელმწიფო რომ მართლა გამოხატავდეს ხალხის (და არა უზნეო და გაქსუებულ ელიტათა) მისწრაფებებს, მაშინ იმედის ეკრანზე ის ციფრები სამუდამოდ არ დაფიქსირდებოდა.

მიხეილ გეწაძე,
ХО-ЗОВ-ЗЕО

◎ მძღოლთა საყურადღებოდ!

ნასვამ მძღოლებს მართვის უფლება შეუჩერდებათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივა, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრებას და ფულადი ჯარიმების მართვის უფლების ჩამორთმევით შეცვლას ითვალისწინებს, პარლამენტმა დაამტკიცა.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებები, რომლის განხილვასაც პარლამენტმა ოთხ თვეზე მეტი მოანდომა, მესამე მოსმენით დაამტკიცეს. შსს-ს პროექტის პირვანდელი ვარიანტი პარლამენტში მნიშვნელოვნად გადამუშავდა. მიღებული ცვლილებების ფარგლებში, მთლიანად შეიცვალა არსებული ადმინიტრაციული სანქციები მუხლზე, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვას, ასევე ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისთვის სატრანსპორტო საშუალების გადაცემას ეხება.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, აგრეთვე, სატრანსპორტო საშუალების მართვისას ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისთვის თავის არიდება გამოიწვევს მართვის უფლების შეჩერებას ექვსი თვის ვადით, 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირისთვის კი, მართვის უფლების შეჩერებას — ერთი წლის ვადით.

აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სახდელდადებული მძღოლები 700 ლარის ოდენობით დაჯარიმდებიან, მართვის უფლების შეჩერების ვადა კი, ერთი წლით გაეზრდებათ.

ამავე ცვლილებების გათვალისწინებით, სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე სამართალდარღვევის წლის განმავლობაში განმეორება — 1500 ლარის ოდენობით.

თუკი ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებას ისეთი პირი მართავს, რომელსაც მართვის უფლება არ აქვს, ან ეს უფლება სხვა დარღვევების გამო აქვს შეჩერებული, გამოიწვევს მის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, იმავე ქმედების ერთი წლის განმავლობაში განმეორება - 1500 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, პარლამენტის მიერ დამტკიცებული ცვლილებებით, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება სამი წლის ვადით შეუჩერდებათ მძღოლებს, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებას ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართავენ. იგივე სანქცია იქნება გამოყენებული მათი მხრიდან ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმების თავის არიდების შემთხვევაში.

ასევე სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. 1000-ლარიან ჯარიმასთან იქნება დაკავშირებული ქმედება, როცა ნარკოტიკების გავლენის ქვეშ მყოფ მძღოლს არ აქვს მართვის უფლება, ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევების გამო.

მკაცრდება სანქცია არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლებისთვის, როცა სატრანსპორტო საშუალების მართვას სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე, სხვა ქონების, ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვება.

◎ ალიან-ჩალიანი

ნათია ლაზაშვილი დაიკითხა

ირაკლი ოქრუაშვილის **დაცვის თანამშრომლების წინააღმდეგ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ჟურნალისტი ნათია ლაზაშვილი დაკითხეს.**

აღნიშნული საქმე საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზე მიმდინარეობს. საქმეზე ბრალდებულია ოქრუაშვილის დაცვის 6 თანამშრომელი, მათ შორის, დაცვის ყოფილი უფროსი იოსებ ფეიქრიშვილი და კიდევ ერთი მოქალაქე. ბრალდებულებს ბრალად წარდგენილი აქვთ 2007 წლის 27 სექტემბერს ირაკლი ოქრუაშვილის „ქართული პარტიის“ ოფისში დაკავების პერიოდში სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. თუმცა, ბრალდებულები აღნიშნულ ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ მათ დაკავებას 2007 წელს პოლიტიკური სარჩული ედო.

როგორც ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის ყოფილმა უფროსმა იოსებ ფეიქრიშვილმა განაცხადა, 2007 წლის 27 სექტემბერს ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების პარალელურად, ოქრუაშვილის დაცვის სამსახურის 6 თანამშრომელი დააკავეს და შემდეგ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. საქმის განხილვა კი, მისი ინფორმაციით, საქალაქო სასამართლომ ერთი წლის წინათ დაიწყო.

რაც შეეხება ჟურნალისტ ნათია ლაზაშვილის დაკითხვას, ლაზაშვილი წარდგენილი ბრალდების პერიოდში ირაკლი ოქრუაშვილის თანაპარტიელი იყო და მის დაკავებას შეესწრო. როგორც ლაზაშვილმა განაცხადა, ის, რაც 2007 წლის 27 სექტემბერს მოხდა, „ტელეიმედში“ განხორციელებული ქმედებების მინი რეპეტიცია იყო.

ბრალდებულ იოსებ ფეიქრიშვილის თქმით, 2007 წელს დაცვის თანამშრომლების დაკავების მოტივი ირაკლი ოქრუაშვილი იყო და ამ ყველაფერს რომ პოლიტიკური სარჩული ედო, ნათელია და დაცვის მხარე ეცდება სასამართლო განხილვების პერიოდში სიმართლე დაამტკიცოს.

სასამართლო პროცესი 7 ბრალდებულის წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში 3 დეკემბერს გაგრძელდება.

ინტერპრესი

◎ ბიზნესი და ხელისუფლება

ნარმანიამ ბიუჯეტი გადაარჩინა?

ერთი კომპანიის მონაწილეობით ჩატარებული ვითომდა „ტენდერები“, რომლებშიც გამარჯვებული აუცილებლად ნაციონალური ხელისუფლების ერთგული, მათთან დაახლოებული ფირმა ხდებოდა, „ტენდერები“, რომლებშიც წარმატებულის კორუფციული გარიგება ნაცების უმაღლეს ეშელონებთან შეუიარაღებელი თვალითაც კი აშკარა იყო, წინა ხელისუფლების ცხოვრების ყოველდღიურობა გახლდათ.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ტენდერებისადმი მიდგომა რადიკალურად შეიცვალა. გადაიხედა ადრე ჩატარებულთა შედეგები. გამოჩნდა, რომ ბევრი პროექტი ხარვეზებით იყო სავსე. არ იყო გათვალისწინებული ეკონომიკური უკუგება, ტექნიკური გამართულობა და ა. შ. რის გამოც პროექტების უმეტესობა შეჩერდა. მაგრამ შესწავლა დროში იმდენად გაიწელა, რომ ინფრასტრუქტურისა და რეგონალური განვითარების სამინისტრომ ვეღარ მოასწრო ახალი კონკურსების გამოცხადება, ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ვერ მოხერხდა გამოყოფილი თანხების სრულად ათვისება.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, რადგანაც მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების ათვისება, ეს თანხები სხვა ხარჯებისთვის გადანაწილდება.

წინა ხელისუფლებაში მყოფი ამჟამინდელი საპარლამენტო უმცირესობა ვაი-უშველებელს ტეხს — ბიუჯეტი მილიარდ ლარამდე ირღვევაო. ისინი ფინანსთა მინისტრმა **ნოდარ ხადურმა** დაამშვიდა. — **ბიუჯეტით გაწერილი ხარჯები მთლიანად დაფინანსდება და ამ კუთხით ქვეყანას, ხელისუფლებას პრობლემები არ შეექმნებაო.** ხადური აგრეთვე აპირებს მთელი რიგი სამინისტროების მიერ აუთვისებელი თანხების ბიუჯეტში მობილიზებას, რის შემდეგაც ფინანსთა მინისტრმა, შესაძლოა, პარლამენტს საბიუჯეტო ცვლილებებით მიმართოს და ზოგიერთი ხარჯის გაზრდაც კი მოითხოვოს. ხადურმა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების პრობლემებსაც გაუსვა ხაზი.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, რაც ბიზნესი და ბიზნესმენები სამთავრობო წნეხიდან განთავისუფლდნენ, პროკურატურა, ფინანსთა სამინისტრო აივსო საჩივრებით: **დაზარალებულები ჩიოდნენ, რომ წინა ხელისუფლების ზეწოლით მათ ბიუჯეტის სასარგებლოდ უკანონოდ ზედმეტ თანხებს ახდევინებდნენ. იყო წინასწარ იძულებითი გადახდის ფაქტებიც.** ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ საჩივრების დეტალურად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სახელმწიფოს ვალი მეწარმეებისადმი — მილიარდ 500 მლნ ლარი. სწორედ ამ ვალს მოხმარდა საბიუჯეტო თანხები, აქედან შედეგიც — **ბიუჯეტი ვერ ივსება.** — ასკვნის ხადური.

„ვარდოსნები“ კი არ ითვალისწინებენ რა რეალობას, მათ მიერ ჩადენილ შეცდომებსა თუ დანაშაულებს და თავისას უბერავენ. მიხეილ მაჭავარიანს მთავრობის პოზიტიური განწყობისა არ სჯერა და „უცილლობლობს ვითა ჯორი“ 2013 წლის ბიუჯეტს 800 მლნ აკლდება, 2014 წლის ბიუჯეტი ისეა დაგეგმილი, თითქოს მიმდინარე წლისა შესრულდაო.

ნაციონალებს არც ეკონომიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ **გიორგი კვირიკაშვილის** განცხადება აკმაყოფილებთ. ვიცე-პრემიერი არ მალავს, **ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში ვერ შესრულდება იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკური ზრდა მეტობით იყო დაგეგმილი.** თუმცა, მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავ,ს რომ ბიუჯეტით დაგეგმილი სახელმწიფოს ყველა სოციალური ვალდებულება შესრულდება.

ხადურის განმარტებით კი წლეულს ბიუჯეტში იმაზე მეტი თანხა შევა, ვიდრე დაიხარჯება. ბიუჯეტის დეფიციტი 2 პროცენტამდე დავა. თუმცა, არც რეალობას გაურბის და ამბობს, **ეს იმის გამოა, რომ ნაციონალების დატოვებული ტენდერები გაუქმდა, პროექტები შეჩერებულიაო.**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ირაკლი ლექვინაძე** განმარტავს ბიუჯეტის გარღვეული საშემოსავლო ნაწილის შევსების ორ გზას: **1. გაზრდილი ვალი, 2. ნაშთი.** მისი ინფორმაციით **ფინანსთა სამინისტრო ვალის აღებას არ აპირებს (საშინაო, საგარეო). გადამრჩენად რჩება ნაშთი,** ასკვნის ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში.

წინა ხელისუფლება რომ დარჩენილიყო, სად იქნებოდა ნაშთი. ყველაფერი ტაშ-ფანდურში, ღრეობებში, საზღვარგარეთ მრავალრიცხოვანი დელეგაციების გამგზავრებაში, ნაცელიტის რჩეული ქალბატონებისთვის ძვირადღირებული საჩუქრების შეძენასა და ა. შ. დაიხარჯებოდა.

ზაზა ბილიხოძე

◎ როდესაც ტიტანები მიდიან

ლიდერების დეფიციტი საქართველოში

ძართული პოლიტიკური გარემო ახალ ეტაპზე გადადის — 2014 წელს მას ძლიერი პოლიტიკური ლიდერები აღარ ეყოლება. მიდის ორივე, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და საქართველოს პოლიტიკური არენა მძიმეწონიანი პოლიტიკოსების გარეშე რჩება, რადგან არც ახალარჩეულ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს და არც ახალდანიშნულ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს არ აქვთ მაგნეტიზმის მათეული ხარისხი. სიტუაციის ირონიულობა კი ისაა, რომ საქართველო ახლა შედის თავისი განვითარების ისეთ ეტაპზე, როდესაც სჭირდება კარგად ორგანიზებული, მოტივირებული და ძალიან სანდო პოლიტიკური ცენტრი. აღმოჩნდა რა რთულ მოპაექრე ინტეგრაციულ პროექტებს შორის (ასეთი პროექტებია რუსეთის მიერ ინიცირებული ევრაზიული კავშირი, ნატო, ევროპული პარტნიორობა და ჩინეთის ინიციატივები), დღეს საქართველოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ძალების მობილიზება ძლიერი, პროდასავლური ლიდერების ხელმძღვანელობით, რათა მან შეძლოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების რეალიზება.

ძლიერი ლიდერის არარსებობის პირობებში, ტვირთი, როგორც წესი, პოლიტიკურ პარტიებს აწვება. მაგრამ ვერც ერთი არსებული ჯგუფი ვერ შეძლებს მხოლოდ საკუთარი ძალებით განამტკიცოს არასტაბილური პოლიტიკური სისტემა. კოალიცია „ქართული ოცნების“ მრავალფეროვნება, რომელიც ოდესღაც მიმზიდველს ხდიდა მას, ახლა მის სისუსტედ იქცა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ის პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც მუდმივი თავდასხმის ქვეშ იმყოფება — ძალით ცდილობენ ადგილობრივი მთავრობების შეცვლას და მისი ფინანსური ბაზის განადგურებას. სავარაუდოდ, საქართველო დეზინტეგრირებულ, გახლეჩილ პოლიტიკურ გარემოში აღმოჩნდება და, შესაბამისად, მთავრობის ძალისხმევის უდიდესი წილი დასჭირდება შიდა უთანხმოებების გამკლავებას, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნის განვითარებასა და ქმედითი ინსტიტუტების განმტკიცებაზე გამახვილდეს ყურადღება. ძლიერი, ქარიზული ლიდერის და ფართო პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე, ორი ახლადწარმოქმნილი კრიზისი დაარღვევს, ალბათ, ისედაც არასტაბილურ ბალანსს. პირველი ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებაა და გარდაუვალი უკმაყოფილება ეკონომიკით, მეორე — დანაწევრებული პოლიტიკური სივრცით მანიპულირება გარეგანი აქტორების მიერ, რადგან რუსეთი და დასავლეთი, ორივე აძლიერებს ზეწოლას საქართველოზე და მისთვის სასურველი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას ითხოვს. ზეწოლა რუსეთის მხრიდან, ალბათ, მიიღებს ტრადიციულ ფორმებს: შიდა პოლიტიკაში ჩარევა და ფარული ან ღია მანიპულაცია. ამ დროს კი დასავლეთი აძლიერებს ინსტიტუციურ ზეწოლას და ეხმარება დემოკრატიული რეფორმების გაგრძელებას.

ამ კრიზისებიდან, ორი ახალი პოლიტიკური ცენტრის გაჩენაა მოსალოდნელი, მათ მსოფლმხედველობა განასხვავებს: ეს იქნება პროდასავლური და ევროაზიული ბლოკები. პირველმა ბლოკმა გადასარჩენად უნდა შექმნას პროდასავლური პარტიების კოალიცია და დაადგინოს ის ამომრჩეველი, რომლისგანაც მხარდაჭერას მიიღებს. ნაწილი მათგან უკვე დარწმუნებულია, რომ პროდასავლური ორიენტაცია მომგებიანია საქართველოსთვის, ასევეა ბევრი იმედგაცრუებული ამომრჩეველი: საქართველოს მოსახლეობის ნახევარს არ მიუღია მონაწილეობა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.

ევროაზიელები დიდად არიან დამოკიდებული თავიანთ პოლიტიკურ ცენტრზე, რუსეთის ფედერაციაზე. მაგრამ ბევრი პოლიტიკური და ეკონომიკური ინდიკატორით რუსეთში 2014 წელს რეცესია დაიწყება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბება და რუსეთი კიდევ უფრო მეტად აგრესიული გახდება საგარეო პოლიტიკაში. რუსეთის აგრესიულობის პერსპექტივა საფრთხეს უქმნის დასავლეთის გავლენას საქართველოში და შეიძლება პროდასავლური პარტიების გაერთიანების იმპულსად იქცეს. ამ ტიპის კოალიციამ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის ზეწოლას და დასავლელ პარტნიორებთან ერთად იშრომოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუციურ სტრუქტურებში საქართველოს წარმატებული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს პოლიტიკური სისტემა ამ ბოლო დროს გარდაიქმნა საპრეზიდენტო სისტემიდან ჰიბრიდულ სისტემად, სადაც პრეზიდენტის ძალაუფლება გაყოფილია პარლამენტთან და პრემიერ-მინისტრთან. ამ ცვლილებით, ერთ ძლიერ პიროვნებაზე დაფუძნებული სისტემა ისეთი სისტემით შეიცვალა, რომელსაც ძლიერი და კარგად ორგანიზებული პარტიული სისტემა სჭირდება. ამ ვითარებაში, დასავლეთმა ხელი უნდა შეუწყოს ისეთი პარტიების კოალიციის შექმნას, რომელიც უთანაგრძნობს ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეალებს. უკვე მოვიდა დრო იმისთვის, რომ საქართველოში გაჩნდეს პროდასავლური კოალიცია, რომელსაც მხარს უჭერენ დაინტერესებული ძალები ევროპიდან და ამერიკიდან.

თემურ იაკობაშვილი,
http://blog.gmfus.org

◎ ალიან-ჩალიანი

რუსული კომპანიები ჩვენი პორტებით დაინტერესდნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ რუსეთის სპეციალურ წარმომადგენელ გრიგორი კარასინთან შეხვედრის ფორმატში შესაძლოა საინვესტიციო კომერციული პროექტების განხორციელების საკითხი განიხილოს.

— ჩემი კოლეგის და ჩემი განცდა ასეთია - ის დღის წესრიგი, რომელიც ჩვენ გასულ წელს ჩამოვაყალიბეთ, თითქმის 80%-ით უკვე შესრულებულია და ალბათ უახლოეს თვეებში დღის წესრიგი შეიძლება სრულად ამოვწუროთ კიდეც.

არის მოსაზრებები შემდეგ ეტაპზე რა შეიძლება გაკეთდეს. ერთ-ერთი იდეა ასეთია — ხელი შევუწყოთ საინვესტიციო კომერციული პროექტების განხორციელებას. ეს შეიძლება იყოს ერთობლივი ან საერთაშორისო პროექტები, მაგრამ იქნება დიდი, საინტერესო კომერციული პროექტები, რომელშიც რუსეთის მხარეც იქნება დაინტერესებული და ჩვენი მეზობლებიც. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი პროექტი არის ის, რომ რუსული კომპანიები დაინტერესებული არიან ჩვენი საპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენებით; კერძოდ, ფოთი-ბათუმი. უნდათ, რომ საქონელი ამ პორტებით გაიტანონ უცხოეთში, — განაცხადა აბაშიძემ.

სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში ეტიკეტზე იკრძალება ტერმინების - „ორგანულის“, „ბიოს“, „ეკოს“ გამოყენება

სურსათის უვნებლობის სამსახურის ინფორმაციით, 2014 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №198 დადგენილება „ბიოწარმოების შესახებ“, რომლის თანახმად, პროდუქტის, მათ შორის, სურსათის ეტიკეტზე იკრძალება ტერმინების — „ორგანულის“ „ეკოს“, „ბიოს“ გამოყენება, თუ პროდუქტი-სურსათი არ არის ამ დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად დამზადებული.

იმისათვის, რომ ბიზნესოპერატორს მიეცეს უფლება, ეტიკეტზე დაიტანოს მსგავსი აღნიშვნები, აუცილებელია, მთელი საწარმოო ჯაჭვი იყოს სერტიფიცირებული შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ორგანოს მიერ.

ინტერპრესი

მემორიალი ერის ისტორიული მეხსიერების სიმბოლოდ

ძვირფასო თანამემამულენო!

დღეს აჭარაში არსებული მდგომარეობა, თურქეთის ზეგავლენის მხრივ, უკიდურესად რთულია და ყოველდღიურად იზრდება თითქმის ყველა მიმართულებით. ამიტომ აუცილებელად მიგვაჩნია კონკრეტული მოქმედებები.

წლეულს აგვისტოში 135 წელი შესრულდა ოსმალთა იმპერიისაგან აჭარის გათავისუფლებიდან. აჭარის მთავრობას, ქალაქის მერიას სიტყვაც არ დაუძრავთ ამ მნიშვნელოვანი თარიღის შესახებ.

ამიტომ, ჩვენ ეს დღე, 17 აგვისტო საზეიმო მიტინგით აღვნიშნეთ, სადაც თბილისიდანაც ესწრებოდნენ პოლიტიკოსები, შემოქმედი ადამიანები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს ჩვენს მიერ წარმოდგენილი იდეა, ოსმალთა იმპერიისაგან აჭარის გათავისუფლების აღსანიშნავად მემორიალის დადგმის აუცილებლობის შესახებ.

სიტყვა საქმედ ვაქციეთ. საინფორმაციო დაფა უკვე აღვმართეთ... ენთუზიაზმით დაიწყო მემორიალის დადგმისათვის ზრუნვა.

უკვე გამოგვეხმაურნენ დედაქალაქიდან ეროვნული აკადემია, პედაგოგთა კავშირი და სხვები. დაგეგმილია ღონისძიებები. აუცილებელია ინფორმაცია ამის შესახებ ცენტრალური არხებით დაიბეჭდოს, რისთვისაც მოვმართავთ თქვენს რედაქციას.

მოგეხსენებათ, ბოლო წლების მანძილზე ანტიეროვნული პოლიტიკით ნასაზრდოებმა „ლიბერალურმა“ კანონმდებლობამ, სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ საქართველოს მოქალაქეობისადმი, ჩვენს ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობა შექმნა.

საქართველოს კარი სრულიად განუკითხავად ღიაა ყველასათვის, რითაც უფრო მეტად სარგებლობენ საქართველოს არაკეთილმოსურნენი, ვისთვისაც ჩვენი სამშობლო ძირითადად სავაჭრო და გასართობ ობიექტს წარმოადგენს... ასეთი მდგომარეობა, განსაკუთრებით მძიმედ აისახება ჩვენს რეგიონზე — აჭარაზე. არავისთვის აღარ არის უცხო ის, რომ ოსმალეთის მემკვიდრე თურქეთის სახელმწიფო არ მალავს თავის პოლიტიკურ ინტერესებს აჭარის მიმართ და მას ოსმალეთის იმპერიის ისტორიულ ნაწილად მიიჩნევს, ეწევა აქტიურ პროპაგანდას, რომელმაც საქართველოში 9-წლიანი რეჟიმის მართველობის დროიდან მყარი საფუძველი ჰპოვა.

ქართველთმოძულე მიხეილ სააკაშვილი ბოლო წუთამდე იბრძოდა, რაც შეიძლება მეტი ზიანი მოეტანა საქართველოსთვის. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ დღეს აჭარას ათასობით თურქეთის მოქალაქე, „ჩვენებურების“ ნიღბით — საქართველოს მოქალაქეობით შეესივნენ და იწყებენ ბათუმში დარეგისტრირებას, მიწების შესყიდვას... ნებისმიერი იმათგანი, ვინც შეიძლება სინამდვილეში გულწრფელიც იყოს, უპირველესად, თურქეთის მოქალაქეა, თურქული იდეოლოგიით და თურქეთის სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობით. უმრავლესობას კი წარმოდგენა არ აქვს თავის წარმომავლობაზე, ქართულ გვარზე, არ იცის ქართული, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, რომ საქართველო მისთვის არ არის სამშობლო და სულ სხვა ინტერესებია აქ გათვალისწინებული, რაც მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის და რაც ჩვენში სამართლიან შიშს იწვევს. ამიტომ ვახსენე ნიღბიანი „ჩვენებურები“.

აჭარაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აშკარად საფრთხის წინაშე დგას. სრულიად მოშლილია ეროვნული უსაფრთხოება.

ასეთი დამოკიდებულება, ბუნებრივია, ხელს უშლის ქართველი და თურქი ხალხების ჭეშმარიტი მეგობრობის განვითარებას, რაც ასე დიდად საჭიროა ორივე მხარისათვის, ჩვენს ხალხებს შორის მეზობლობა თვით ბუნებით, ღვთის ნებით არის განპირობებული, რასაც სწორი მიმართულების მიცემა ესაჭიროება.

„რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“, — ბრძანებდა რუსთაველი.

ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ სწორედ ახლა გვჭირდება გონიერება და მონდომება არსებული საფრთხეებისაგან თავის დასაღწევად, რაზედაც კერძოდ მოგახსენებთ.

ზემოთ აღნიშნულ მძიმე ფონზე, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთაგან მხოლოდ საგაზეთო წერილები, ბრიფინგები, მცირე მასშტაბის აქციები, რაც ასევე აუცილებელია, რეალური შედეგის მომტანი ვერ იქნება. „მხოლოდ სიტყვიერი პროტესტი დიქტატორის თავზე გვირგვინის დადგმას ნიშნავსო“, — გვარიგებს უძველესი ხანის რომაელი ბრძენი.

აუცილებელია საერთო ძალებით, ფართო საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობით კონკრეტული მოქმედებები. სავიზო რეჟიმის გამკაცრებასთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია ორმაგი მოქალაქეობის გაცემის საკითხი პარლამენტის განსასჯელი გახდეს...

იმედი გვაქვს, რომ საქართველოს პარლამენტი ამ საკითხებზე, ეროვნული ინტერესების დაცვით მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ აუცილებელია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების რაც შეიძლება მალე ჩატარება.

ამ მხრივ დიდად იმედის მომცემია პრემიერ-მინისტრად ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის დანიშვნა, რომელმაც თავისი პრინციპულობით რეჟიმის მსახური, ჯალათად ქცეული პოლიცია სამართლიანობის დამცველ ქართულ პოლიციად გადააქცია. გვჯერა, ასეთივე პრინციპულობითა და სიბრძნით იზრუნებს ქვეყანაში სამართლიანობის დასამკვიდრებლად.



საინფორმაციო დაფა ქ. ქობულეთში

რაც შეგვეხება საზოგადოებას, ხალხს, მიგვაჩნია, რომ ჩვენი პოზიცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის, მთავარი მარეგულირებელი უნდა გახდეს. ნათქვამია: ჭკვიანმა კაცმა ფაჩიფუჩი უნდა გაიგონოს, თორემ ბრაგაბრუგს ყრუ და სულელიც გაიგონებსო.

ძვირფასო თანამემამულენო, დებო და ძმები, ჩვენი საქმე როგორც ჩანს, დიდი ხანია გასცდა ბრაგაბრუგს, და ახლა მაინც გამოვიჩინოთ მთელი ყურადღება, განსაკუთრებით ეროვნული უსაფრთხოებისადმი. ბათუმი-გონიო უნდა გაიწმინდოს გარყვნილების ობიექტებისგან, ბორდელებისგან, რაც დღეს მავანთათვის სამარცხვინო შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ გადაიქცა, ვიზრუნოთ ეროვნული, რაინდული მენტალიტეტის აღდგენაზე, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ქართველი კაცი. ამ შემთხვევაში ყურადღება მინდა, გავამახვილო დამცავი მექანიზმის ერთ-ერთ მთავარ ფორმაზე. კერძოდ, აჭარაში და მთლიანად საქართველოში არაფერი სხვა, გარდა წიგნებისა და საარქივო მასალებისა, რომლებსაც, სამწუხაროდ, ნაკლებად კითხულობს ვინმე, არ არსებობს იმის დამადასტურებელი, რომ აჭარა სამასი წელი ოსმალთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა, 1877-1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გახდა შესაძლებელი მისი დედასამშობლოსთან, საქართველოსთან დაბრუნება.

ამიტომ, აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ინიციატივით, რომელიც აერთიანებს აჭარაში მცხოვრებ ყოველი გვარის წარმომადგენელს, განურჩევლად რელიგიური აღმსარებლობისა და ისტორიული წარმომავლობისა, გადაწყდა დაიდგას მემორიალი, სიმბოლო, ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენის — აჭარის გათავისუფლების 135 წლის აღსანიშნავად.

მემორიალისათვის ბუნებრივი გრანიტის ქვა (ორი მეტრი სიმაღლის, 5,5 ტონა წონისა, რომელიც დაიდგმება დაახლოებით 1 მ სიმაღლის გრანიტის კვარცხლბეკზე) უკვე შეძენილია საორგანიზაციო ჯგუფის წევრთა შემოწირულობებით.

სამი მეტრი სიმაღლის მემორიალი, რომელსაც კლდის ფორმა აქვს, როგორც ქართველი ერის ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის სიმბოლო, საერთაშორისო საზოგადოებას, მტერსაც და მოყვარესაც ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე სამარადჟამოდ ამცნობს, რომ აჭარა ოსმალთა სამასწლოვანი ოკუპაციის შემდეგ დედასამშობლოს დაუბრუნდა.

მემორიალზე ბრინჯაოთი აღბეჭდილი იქნება ამ ისტორიული მოვლენის შესაბამისი სიმბოლოები.

პროექტი ხორციელდება აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ეგიდით.

მოქანდაკეა **დავით ბოლქვაძე,** არქიტექტორი — **დუგლას ზამთარაძე,** იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი — **ნიაზ ბოლქვაძე.**

გმირ წინაპართა დაფასება, ვინც სისხლითა და ოფლით, ხმლითა და კალმით შექმნა საქართველოს ისტორია, აჭარა დედასამშობლოს შეუნარჩუნა, მათი უკვდავყოფა მემორიალების, ძეგლების სახით, ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია ჩვენი ეროვნულობის დასაცავად, მომავალი თაობების სწორად, მამულიშვილური სულით აღსაზრდელად.

აჭარა-მესხეთის გათავისუფლება ერთადერთი პრეცედენტია საქართველოს ისტორიაში, როცა საქართველომ დაკარგული ტერიტორია დაიბრუნა. აჭარის გათავისუფლების მემორიალის დადგმა და ისტორიული თარიღის საყოველთაო საზეიმო დღედ გამოცხადება, როგორ ქართველი ერის ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის სიმბოლოსი, ოპტიმიზმით განაწყობს ჩვენს თანამედროვეთ და მომავალ თაობებს, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება შესაძლებელია, ჟამთა ცვალებადობისა და ხანგრძლივობის მიუხედავად.

აჭარის გათავისუფლების მემორიალის აღმართვა, ჩვენი ისტორიული სინამდვილის უკვდავყოფა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს თურქ ხალხთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას. მუსლიმანთა საღვთო წიგნი ყურანი ყოველ მორწმუნეს აფრთხილებს: „არ დაჩაგრო სხვა და არავის დააჩაგვრინო თავი“. ვფიქრობთ, ეს სიბრძნე, კარგადაა ცნობილი თურქეთის სახელმწიფო მოხელეთა თუ რიგითი მოქალაქეებისათვის, ვისთვისაც დღეს საქართველოში ყველაფერია ნებადართული.

ამიტომ ყოველი თავმოყვარე ადამიანი დაგვეთანხმება რომ, როგორც დავიფასებთ თავს, ისე დაგვაფასებენ. ეს ვაჟკაცთა წესია, ღირსეული ცხოვრების პრინციპია, რომელიც ქართველებს ოდითგანვე მოგვდგამს, დღეს კი განსაკუთრებით გვჭირდება, ამ პრინციპით დავირაზმოთ, თუ ღირსეული მომავალი და ნამდვილი ერობა გვსურს.

ამ მემორიალის აღმართვა, ასევე დიდად შეუწყობს ხელს რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების აღდგენას, რუს ხალხთან სახალხო დიპლომატიის საუკეთესო საშუალება იქნება, რადგანაც აჭარის გათავისუფლებაში სწორედ რუსეთს მიუძღვის ერთ-ერთი მთავარი როლი. ათასობით რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი შეეწირა 1877-1878 წ.წ. ომს. ისტორიის წინაშე არ ვიქნებით მართლები, თუ მათი ღვაწლი სათანადოდ არ დავაფასეთ.

დაბოლოს, ასეთი მიდგომა არის მთავარი გარანტი ჭეშმარიტი დემოკრატიის განვითარებისა, რომ ყოვლისმომცველი გლობალიზაციის პირობებში ჩვენი, ქართული ეროვნული სახე შევინარჩუნოთ და ღირსეულად წარვსდგეთ თანამედროვე გამოწვევების წინაშე, მხოლოდ ასე შეიძლება მომავალში ჩვენც ღირსეული წინაპრები გვეწოდოს...

მემორიალი დაიდგმება სახალხო შემოწირულობებით, როგორც ხალხის ნების გამოხატულება ეროვნული ინტერესების დასაცავად, რომელშიც თვით ხელისუფლების წარმომადგენელნი მონაწილეობას ღებულობენ, როგორც რიგითი მამულიშვილნი.

საორგანიზაციო ჯგუფის სახელით მივმართავთ ყველას, შეძლებისდაგვარად გამოიჩინონ ფინანსური და მორალური თანადგომა აჭარის გათავისუფლებისა და დედასამშობლოსთან დაბრუნების მემორიალის დადგმისათვის.

საორგანიზაციო ჯგუფის სახელით,
ნიაზ ბოლქვაძე,
აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო
კავშირის თავმჯდომარე, ფილოსოფოსი,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,

ანგარიშის ნომერი:
„საქართველოს ბანკი; კოდი BAGAGE22
აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი
GE82BG0000000154343600

საკტელეფონებია:
555 74-02-71 ნიაზ ბოლქვაძე
593 26-60-41 იოსებ წულუკიძე
593 20-46-58 თემურ ნიჟარაძე
595 53-10-75 ჯეირან ფალავანდიშვილი

◎ სოციუმი

პენსია უნდა ეყოს კაცს თუ კაცი – პენსიას?

დაითვალეთ, ბატონებო, რეალურად საარსებო მინიმუმი!

პენსია უნდა ეყოს კაცს თუ კაცი – პენსიას? ეს კითხვა, როგორც მახსოვს, მიშნაცებს თავიანთი მმართველობის პერიოდში ერთხელაც არ დაუსვამთ, ალბათ იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ გულში ეთანხმებოდნენ „დათა თუთაშხიას“ ცნობილი პერსონაჟის გახმაურებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა – ხელფასი კაცს. თუმცა, ამის გამო სიმშვიდესა და გულარხეინობას ვერ დავაბრალებთ თავად სააკაშვილს, რომელიც ადგილობრივ ამომრჩევლებთან შეხვედრისას თუ ევროპარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან გამოსვლისას, შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, პენსიონერებისთვის შეპირებული 100-დოლარიანი პენსიით არ წაეტრაბახა. დანაპირებს ალბათ შეასრულებდა კიდეც, ისევე როგორც შეასრულა ყველა სხვა დაპირება, მოულოდნელად წინ ივანიშვილის მთავრობა რომ არ გადასდგომოდა და პენსიონერებისთვის მიცემული კაცური სიტყვის აღსრულების შანსი ხელიდან არ გაეგდებინებინა.

რას ვიზამთ, არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოსვლამ სააკაშვილს პენსიების ზრდის შანსთან ერთად, საპრეზიდენტო „ტახტიც“ დააკარგვინა, რამაც „მაღალოს“ გული ძალუმად ატკინა, მაგრამ სამაგიეროდ გაიხარა ასაკოვანმა ამომრჩეველმა, რომელსაც „ქართული ოცნება“ სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად, პენსიების მნიშვნელოვან ზრდასაც შეპირდა. თუმცა, შეპირება ერთია (ამას ნაცების ხელისუფლება ხალხს უფასოდ ურიგებდა), რეალური საქმე კიდევ – მეორე. ჰოდა, საქმიდან გამომდინარე, როგორია შედეგი, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ დადო?

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც ამ მხრივ კოალიციურმა მთავრობამ გადადგა, იყო წლეულს 1 აპრილიდან ყველა ასაკის პენსიონერისთვის თანაბარი საპენსიო თანხის (125 ლარი) გაცემა. თუ აქამდე ამ რაოდენობის პენსიას მხოლოდ 67 წელს გადაცილებულები იღებდნენ, ამიერიდან გაზრდილ პენსიას იღებდა ყველა. ამით არ დამთავრებულა, 1 სექტემბრიდან პენსია დამატებით კიდევ 25 ლარით გაიზარდა და 150 ლარი გახდა.

ვერაფერს შეედავები. რა თქმა უნდა, კარგი საქმე გაკეთდა, რომ პენსია 150 ლარამდე გაიზარდა და მას ყველა ასაკის პენსიონერი თანაბრად იღებს (ასაკობრივი დაყოფა ყოველად გაუმართლებელი იყო), თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ პენსიების ზრდით ყველა კმაყოფილი დარჩა. ბევრი პენსიონერი მოელოდა, რომ ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარებას ადრევე შეუდგებოდა და ბუნებრივად სვამდა კითხვას – რატომ უნდა გაზრდილიყო პენსია წლეულს 1 სექტემბრიდან და არა, ვთქვათ, 1 იანვრიდან?

– რა გვეჩქარება, ახლავე რომ გავზარდოთ პენსია, შეიძლება ფული გაუუფასურდეთ, აი სექტემბრიდან კი, როცა კარტოფილის მოსავალი შემოვა, 150-ლარიანი პენსია გაცილებით ეფექტური იქნებაო, – იხუმრა ვითომ მაშინ ფინანსთა მინისტრმა მავანთა გასაგონად. თუმცა, მას რატომღაც არ დაუსვამს კითხვა, რომელიც დღეს ბევრს აინტერესებს: **რამდენ დღეს მოახერხებს ერთი რიგითი პენსიონერი თავის გატანას ამჟამინდელი 150-ლარიანი პენსიით?**

ვერ გეტყვით, ფინანსთა სამინისტროში აქვთ თუ არა ამ არცთუ მარტივი კითხვის პასუხი, აი სოციოლოგიური გამოკვლევით კი ირკვევა, რომ ეს თანხა პენსიონერისთვის მხოლოდ 18-20 დღის საკმარისია. მკვლევართა გათვლებით, პენსიონერმა რაც უნდა მომჭირნეობით ხარჯოს თანხა, მას თვეში საშუალოდ პურში, ცხიმსა და შაქარში 21 ლარის გადახდა მაინც მოუწევს, ბურღულეულში – 8 ლარის, კარტოფილში – 6-8 ლარის, ხორცში – 25 ლარის. კომუნალურ გადასახადებში ზამთრის სეზონზე 70 ლარი მაინც დასჭირდება, მედიკამენტების შეძენაზე, თუ არ უჩივის განსაკუთრებულ დაავადებებს – 35 ლარი. ეს არ არის სრული ჩამონათვალი, **ყველაფერი რომ ვიანგარიშოთ, საბოლოო ჯამში, პენსიონერს თვიური ხარჯები 200-230 ლარამდე გაეზრდება, მისი პენსია კი მხოლოდ 150 ლარია(!).**

როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი არ იციან დღევანდელ ხელისუფლებაში? რა თქმა უნდა, იციან, თანაც ახლა კი არ მიხვდნენ, მანამდეც იცოდნენ, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, „ოცნების“ ცალკეული ლიდერები ასე ხმამაღლა კი არ შეპირდებოდნენ ხალხს – **მთავრობაში რომ ვიქნებით, პენსიას საარსებო მინიმუმს გავუთანაბრებთ, ასეთი მინიმუმი კი ჩვენი გაანგარიშებით, 230-250 ლარის ფარგლებში უნდა მოიაზრებოდესო.** ექსპერტთა ერთი ნაწილი ამ აზრს დღესაც იზიარებს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული ფასების მიხედვით, დღეს ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი 360 ლარის ტოლფასია. აქედან გამომდინარე, საარსებო მინიმუმი, არსებულ ფასებთან შედარებით, არის ძალიან დაბალი და ის აუცილებლად უნდა გადაიხედოს.

ჰოდა, თუ გადასახედია, გადაიხედოს, ვინ არის ამის წინააღმდეგიო? – იკითხავთ სრულიად ბუნებრივად. როგორც ვიცი, წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მსურველიც რომ დღემდე არავინ გამოჩნდა? რაღა თქმა უნდა, ლაპარაკია მთავრობის სურვილზე, რომელიც თუკი მოიწადინებდა, საარსებო მინიმუმის დათვლას რა დიდი ფილოსოფია და ფინანსები სჭირდებოდა. **ფინანსები დათვლას კი არა, აი იმას დასჭირდება, დათვლის შემდეგ მთავრობას შედარებით მაღალი საარსებო მინიმუმის დარად პენსიების გაზრდა რომ მოუწევს. ჰოდა, როგორც ჩანს, საარსებო მინიმუმის გადასინჯვა დღესდღეობით ამიტომაც გაჭიანურდა(!)**

ეს ამბავი კარგად მოეხსენება ხელისუფლებასთან ოპოზიციაში ჩასაფერებულ ნაცუმცირესობას და, ამის შესაბამისად, მისი საგულდაგულოდ დაგეშილი „ლეკვები“, სადაც არ უნდა მოუხდეთ გამოსვლა, იქნება ეს პარლამენტის სხდომები თუ სატელევიზიო შოუები, შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ, რომ ამჟამინდელ მთავრობას „მაზოლზე“ ფეხი არ დააჭირონ – **სად არის 230-ლარიანი პენსია, ბატონებო, ხალხს დიდის ამბით რომ პირდებოდითო?! მარტო კითხვის დასმით რომ კმაყოფილდებოდნენ, კიდევ რა უჭირდა, ნაცები ამასთან ერთად იმუქრებიან კიდეც – ჩვენ მალევე მოვბრუნდებით ხელისუფლებაში და არ გვინდა თქვენს მიერ დანგრეული ეკონომიკა და გაყინული პენსიები დაგვხვდესო!..**

აი, თურმე რა მუცლის გვრემა აწუხებს ნაცუმცირესობას. ამიტომაც მათი უკმეხი განცხადება ყოველთვის ღიმილის მომგვრელია ქვეყნის პირველი ფინანსისტის – ნოდარ ხადურისთვის, რომელსაც დანამდვილებით სჯერა, რომ კოალიციურმა მთავრობამ დაპირება შეასრულა. **ვერ გამიგია, რას გვედავებოდით, ბატონებო,** – აცხადებს ფინანსთა მინისტრი, – **ხალხს ვპირდებოდით, რომ პენსია გაუთანაბრდებოდა საარსებო მინიმუმს და ეს ასეც მოხდა: ოფიციალური მონაცემებით, ამჟამინდელი საარსებო მინიმუმი შეადგენს 144 ლარს, პენსია კი უკვე 150 ლარიაო!**

რა თქმა უნდა, პიარში გამობრძმედილი ნაცები არ არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომ ხადურის ნათქვამი ჰაიჰარად დაიჯერონ და არ შეახსენონ ის სიტყვები, რითაც „ოცნების“ ლიდერები არჩევნებამდელ პერიოდში პენსიონერების გულს იგებდნენ: **ჩვენ მოვალთ და პენსიების ოდენობას არა არსებული საარსებო მინიმუმის (140-150 ლარი), არამედ მისი რეალური ღირებულების (230-250 ლარი) მიხედვით განვსაზღვრავთო. ბატონ, ნოდარ ხადურს შეიძლება დაავიწყდა, მაგრამ ბევრს დღესაც ახსოვს, რომ „მეოცნებეთა“ დაპირება მართლაც ასეთი იყო.**

რუხი მგელი იყოს მისსავე ტყავში გახვეული მიშნაცების მადლიერი, მათ რომ მარტო საკუთარ ჯიბეზე არ ეზრუნათ, თავის დროზე შეეძლოთ საარსებო მინიმუმიც დაეანგარიშებინათ და პენსიაც ამის შესაბამისად გაეზარდათ, მაგრამ ამის გაკეთება რომ ახალი ხელისუფლებისთვის გარდაუვალია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. **გადასასინჯია არა მარტო საარსებო მინიმუმი, არამედ თვით საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათის ღირებულებაც.** კერძოდ, საუბარია მასში სასურსათო და არასასურსათო ხარჯების თანაფარდობაზე (70/30-ზეა), რაც ქვეყანაში ერთობ მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი პირიქითაა – სასურსათო ხარჯი 2-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე არასასურსათო. დღეს სახელმწიფოს მიერ მამაკაცის მინიმალურ ნორმად დათვლილ რაციონში ყველაზე დიდი წილი პურს და კარტოფილს უჭირავს. უცხოეთში ხორცისა და ხორცპროდუქტების დღიური რაციონი ზრდასრული ადამიანებისთვის შეადგენს 200 გრამს, საქართველოში კი სულ რაღაც 70 გრამია. პურისა და პურპროდუქტების ნორმაა 200 გრამი, ჩვენთან – 380 გრამი, მოხმარება კი 700 გრამი. **პროდუქტების ის რაოდენობა, რაც დღეს ქართულ მინიმალურ სასურსათო კალათაშია, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, 3,5-4 წლის ბავშვის კვების რაციონსაც კი ჩამორჩება(!?).**

სამაგიეროდ, საქართველოში განუზომლად მაღალია დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის ხარისხი და კიდევ უფრო მაღალი – ჩინოვნიკთა სახელფასო და საპრემიო უზრუნველყოფა. ამის ნიმუშად გამოდგება თუნდაც სხვადასხვა სფეროებში მომუშავე მარეგულირებელი კომისიები, რომელთა მუშაკები კარგა ხანია დიდ ხელფასთან ერთად პროგრესულად მზარდ პრემიალურ ანაზღაურებაზე (წლიური 60-80 ათასი ლარი) გადავიდნენ. შესაბამისად, ახალმა ხელისუფლებამ, რომელსაც გაუჭირდა დღევანდელი საარსებო მინიმუმის გამოთვლა, რატომღაც იოლად გამოთვალა მინისტრთა დამსახურებით ქვეყანაში მიღწეული შედეგები და არსებული ხელფასები (3500 ლარი) სასწრაფოდ გაუორმაგა(!).

ამ რეალობისგან განსხვავებით, დამაიმედებელი იყო ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის მიერ ამ დღეებში გაკეთებული განცხადება. როგორც დავით სერგეენკომ თქვა, დღევანდელი პენსიები ფაქტიურად არის უფრო სოციალური დახმარება, ვიდრე რეალური პენსიები. მთავრობა ინტენსიურად მუშაობს და ქვეყანა უახლოეს წლებში გადავა რეალურ საპენსიო სისტემაზეო, გვაიმედებს მინისტრი.

თქვენ პირს შაქარი, ბატონო მინისტრო, ამას რა სჯობს, ოღონდ ეგ არის საფიქრალი, რომ სანატრელი პენსიის მომლოდინე ზოგ ხანდაზმულს ალბათ იმქვეყნიური საგზურის აღების რამდენიმე წლით გადადება მოუწევს.

ოთარ ხუციშვილი

◎ ანაკლიას ღირსებები არ აკლია!

აშენების რა პერსპექტივა აქვს ანაკლიის პორტს?

ანაკლიის პორტის მიზანშეწონილობის გამოსაკვლევად მთავრობა 5 მილიონ დოლარს დახარჯავს. როგორც ექსპერტები განმარტავენ, ეს არ არის დიდი თანხა, თუკი გავითვალისწინებთ, რა პერსპექტივა აქვს საუკუნის პროექტად მიჩნეულ ანაკლიის პორტს.

ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, პორტის მიზანშეწონილობის კვლევას საპარტნიორო ფონდი დააფინანსებს და ამისთვის მსოფლიოში საუკეთესო კომპანიების მოზიდვა იგეგმება.

კერძოდ, საუკეთესო კომპანია შეისწავლის შავი ზღვისპირა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კვანძის, საერთაშორისო აეროპორტის მიზანშეწონილობას. ეს კი სამომავლოდ საბანკო ინსტიტუტებში წარსადგენი დოკუმენტი გახდება. მინისტრის თქმით, მათ სჭირდებათ ძალიან მაღალი ხარისხის კვლევა და ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ უმაღლესი რანგის კომპანიები მოეზიდათ. უკვე ცნობილია, რომ ანაკლიის პორტის მიზანშეწონილობის კვლევას რამდენიმე თვე დასჭირდება.

For.ge-ს სურდა, ანაკლიის პროექტის ავტორს – სპარტაკ ერაგიას დაკავშირებოდა, თუმცა, ერაგია დღემდე აღნიშნული თემის კონკრეტიზაციისგან თავს იკავებს.

* * *

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ანაკლიის ახალი პორტი პერსპექტივაში 180-200 მილიონი ტონა ტვირთის გადამუშავებას შეძლებს. ეს კი რამდენჯერმე უფრო მეტია, ვიდრე ერთად აღებული ბათუმის, ფოთის, ყულევისა და სუფსის პორტები.

გარდა ამისა, უმთავრესი ის არის, რომ ანაკლიასთან გადის შავ ზღვაში ერთერთი ყველაზე დიდი წყალქვეშა კანიონი. უფრო ზუსტად, ამ ადგილებში საზღვაო პორტის სიღრმე 20,5 მეტრია (მაშინ, როცა ბათუმში – 14 მეტრია, ფოთში – 8,5 მეტრი). ეს კი ნიშნავს, რომ ანაკლიის პორტში შესვლა შეუძლიათ დიდი ტვირთმზიდაობის გემებს, რომელთა დედვეიტი (ტვირთმზიდაობა) 50-150 ათას ტონას შეადგენს.

საზოგადოებაში ჩნდება კითხვა, რატომ მაინცდამაინც ანაკლია? ხომ არ ჯობდა, უკვე არსებული პორტებისთვის მიგვეხედა და თუნდაც ფოთის პორტის შესაძლებლობა გაგვეზარდა? ამ თემის შესახებ ექსპერტებს ვესაუბრეთ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე,** რომლისთვისაც ანაკლიის პროექტი ვულკანური ინფრასტრუქტურული და ქართული საინჟინრო აზრის ბრწყინვალე ნაშრომია, აცხადებს, რომ ფოთის პორტის გადიდება-მოდერნიზაცია, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ფოთის პორტი არ ექვემდებარება რეკონსტრუქციას, არ შეიძლება მისი გაფართოება. უბრალოდ, დასაშვებია მისი მოდერნიზაცია იმ ადგილზე, სადაც არის. უფრო მეტიც, ფოთის პორტი ვერასდროს შეასრულებს ანაკლიის ფუნქციას და ეს სხვადასხვა ზომადი, აბსოლუტურად განსხვავებული სიდიდეებია. ამიტომ საუბარი იმაზე, ფოთის პორტის გაუმჯობესება ხომ არ გვეცადა, შეუძლებელია. თუმცა დემურ გიორხელიძე არ უარყოფს, რომ ფოთის პორტი უნდა გაკეთდეს თანამედროვე ტექნოლოგიებით, მაგრამ მას მაინც თავისი შეზღუდული ფუნქცია ექნება.

იხ. 11 გვ.

სათქმელი უნდა ითქვას!

თბილისი. 2013 წლის 17 მაისი.

სწრაფი რეაგირების ლეგიონები

ამდენი **მოუგვარებელი პრობლემით გადაქანცულ საზოგადოებას ყურადღების მიღმა დარჩა ერთი ძალიან ნიშანდობლივი მოვლენა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ახალი, საკმაოდ სერიოზული პრობლემის დაბადება გვაუწყა:**

როგორც ცნობილია, 23 სექტემბერს, გვიან საღამოს, საბას პრემიის გაცემის ცერემონიალზე, **ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნაირა გელაშვილმა, რომლის რომანმაც პრემია დაიმსახურა, თავისი სამადლობელი სიტყვა გადააქცია მოწოდებად მწერლებისადმი — წინ აღდგომოდნენ სოფელ ხაიშის წყალში ჩაძირვას, ხუდონჰესის მშენებლობას და ასევე, სხვა მეცნიერულად დაუსაბუთებელ ჰესებს, რადგან მათი აგების შემთხვევაში საქართველოს მთელი კუთხეები ეკოლოგიური კრიზისის კერებად გადაიქცეოდა.** მწერალმა განაცხადა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ერთმა ნაწილმა ამ სოფელს გმირი სოფელი უწოდა, რადგან ლამის უკვე ოცდაათი წელია, მისი მოსახლეობა უძლებს მუქარას, გადაბირებისა და მოსყიდვის მცდელობებს და არ ყიდის ფულზე სულიერ ფასეულებებს: არ უშვებს ახლობელთა საფლავების, ეკლესიების, სავარგულებისა და ა.შ წყალში ჩაძირვას. ამასთან, მწერალმა განაცხადა, რომ თავისი პრემიის ნაწილს გადაურიცხავს სოფელ ხაიშის საბავშვო ბაღსა და სკოლას.

ამ სიტყვის ეთიკურმა პათოსმა, ლოგიკურმა დამაჯერებლობამ და ემოციურობამ თითქოს მთელი საზოგადოებრივი სივრცე შეაზანზარა (სხვათა შორის, როგორც ქალაქად, ისე სოფლად) და იმავე ღამით დიდი გამოძახილი გამოიწვია სოციალურ ქსელებში. გამომაფხიზლებელ ეფექტს აძლიერებდა ის, რომ უფროსი ასაკის საზოგადოებას კარგად ახსოვს, ნაირა გელაშვილის თავდადებული ბრძოლა თავის თანამოაზრეებთან ერთად 90-იან წლებში ე.წ. ტრანსკავკასიის რკინიგზისა და ხუდონჰესის წინააღმდეგ, ასევე 1989 წელს გამოქვეყნებული ვრცელი ორიგინალური ესეი „ტექნოკრატია, ეკოლოგია, პოეზია“, სადაც მწერალი ფართო ჰუმანიტარულ განათლებასთან ერთად სერიოზულ ეკოლოგიურ ცოდნასაც ამჟღავნებდა. **ამით დაიწყო მწერალმა იმ მსოფლმხედველობის დანერგვა, რისთვისაც შეიძლებოდა „ახალი ჰუმანიზმი“ გვეწოდებინა, ახალი ჰუმანიზმი, რომლის არეალიც არა მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებას, არამედ უკვე მთელ ცოცხალ სამყაროს მოიცავს. ამ მსოფლმხედველობის სხვადასხვა ასპექტი მუდმივად ჩნდება როგორც ნ.გელაშვილის მთელ შემოქმედებაში, ასევე მის პუბლიკაციებსა და ინტერვიუებში.**

ერთი სიტყვით, 23 სექტემბრის ღამითვე ცხადი გახდა, რომ საზოგადოების ატროფია დაირღვა და ახალი ფრონტი გაიხსნა როგორც წინა, ისე ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან ისინი ერთად მოჩანან ანტიეკოლოგიური პროექტების მეგასივრცეში.

მაგრამ, როგორც ჩანს, დაინტერესებულმა და ამ საქმეში დახელოვნებულმა ძალებმა მაშინვე დაიჭირეს თადარიგი და განახორციელეს კონტრიერიში: თითქმის მეორე დღესვე არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ წამოიწყო ურცხვი (ჩემს თავს უფლებას ვაძლევ სიზუსტისთვის ვიხმარო სწორედ ეს სიტყვა) კამპანია მწერლის წინააღმდეგ: **მათ „ჰომოფობისა“და „ქსენოფობის“ იარლიყი მიაწერეს შემოქმედს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე და ხშირად თითქმის სიცოცხლის რისკით იბრძოდა ულტრანაციონალიზმისა თუ რელიგიური ობსკურანტიზმის წინააღმდეგ, იცავდა ყველას და ყველაფერს, ვისაც და რასაც დაცვა სჭირდებოდა. ნაირა გელაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა ამოიღო ხმა ქართული სოფლის დასაცავად და ამხილა საკაშვილის ხელისუფლების უკვე ფარულ კონცეფციად ჩამოყალიბებული ზრახვები: ამოეძირკვათ ქართული სოფელი, როგორც არამომგებიანი რამ, მოესპოთ ქართული სოფლის მეურნეობა, გაეღატაკებინათ ადგილობრივი მოსახლეობა, რის შედეგადაც იგი მაქსიმალურად შემცირდებოდა. ამიტომ უყიდიდნენ სოფლებს საძოვრებსა და სავარგულებს, რათა შემდეგ დაცლილი ტერიტორიები უცხოელებისთვის მიეყიდათ, ფულიც აეღოთ და ლოიალური მოსახლეობაც შეეძინათ, რაც, როგორც დღეს უკვე ყველამ იცის, დიდწილად განხორციელდა კიდეც.**

ჩემი დაკვირვებით, ერთ-ერთმა პირველმა სწორედ ნაირა გელაშვილმა მოგვაწოდა ეს ანალიზი და ახსნა, თუ რეალურად რა ხდებოდა ქართულ სოფლებში. პირველად მან ახსენა „ადგილობრივი მოსახლეობის ჩანაცვლების გეგმა“ და ილაპარაკა ამის შესახებ „საკანში“ფილოსოფოს ზაზა შათირიშვილთან.

მე შეგროვილი მაქვს ნაირა გელაშვილის უამრავი საგაზეთო სტატია. ყოველი მათგანიდან ძლიერი ლოგიკა და ჩვენში იშვიათი ობიექტურობა მოიღვრება, მოიღვრება გაბედულება, რომელიც იმიტომ არის ძვირფასი, რომ მას გულმოწყალება წარმოშობს. ამიტომ იყო, ეს წერილები მუდამ რომ იპყრობდა და აკეთილშობილებდა მკითხველებს. უკვე გამოსულია ნაირა გელაშვილის თხზულებათა 13 ტომი, დაგეგმილი ოცი ტომიდან. როგორც გამომცემელი წერს, თვით ეს ოცი ტომიც ვერ მოიცავს მწერლის სრულ შემოქმედებას. მწერალი ქმნის და თარგმნის ყველა ჟანრის ნაწარმოებს — პოეზიასა და პროზას, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, სამეცნიერო წიგნებს. საბავშვო და „სადიდო“ ლიტერატურას. რამდენადაც ვიცი, ასეთი რამ დღევანდელ საქართველოში გამონაკლისია.

მე ვურჩევ ყველას, მათ შორის ახალგაზრდებს, რომელთა უმეტესობა ცუდად ერკვევა, თუ ვის რა დამსახურება და ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის შექმნაში, რის გამოც ადვილად იქცევიან იარაღად ამ კულტურის წინააღმდეგ განწყობილ ადამიანთა ხელში, — ჩახედონ ამ ტომებს. გამაოგნებელია მწერლის, გერმანისტის, ლიტერატურათმცოდნის, მთარგმნელის ეს უზარმაზარი გონებრივი შრომა, რაღაც სხივიანი ნიჭიერებისა და ღრმა განათლების ბეჭედი რომ აზის. როგორ შეძლო ქალმა, დედამ, ოჯახის პატრონმა, ამ ჩვენს, სულ ცოტა, ოცწლიან სიგიჟესა და ქაოსში ასეთი მასშტაბის შემოქმედების გასრულება!

ვინ არ ესხმოდა თავს ნაირა გელაშვილს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე: საბჭოთა ნომენკლატურა, 90-იანი წლების ულტრანაციონალისტური ძალები, ხელისუფლებასთან დაახლოებული, ავყიაობითა და უცენზურობით გამორჩეული მწერლები; საერო და რელიგიური ობსკურანტები და ფუნდამენტალისტები და სხვ. და აი, ახლა ამ ლეგიონებს დაემატა „იდენტობა“ — სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დამცველი ორგანიზაცია, რომლის წევრებმაც და მათი გავლენის ქვეშ მყოფმა პირებმა ფეისბუქში, როგორც უკვე მოგახსენეთ, განახორციელეს ნამდვილი ვერბალური რეპრესია, მწერლის ნამდვილი დევნა, პატარა 37 წელი: ცილისწამებით, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით. მათ საბას ჟიურისაც კი მიმართეს, როგორ თუ არ გაითვალისწინეთ, რომ მწერალი „ჰომოფობი“ და „ქსენოფობია“ და „სიძულვილის ენას“ ხმარობსო! დარწმუნებული ვარ, მიმართავენ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, შეეცდებიან მთელ „კავკასიურ სახლსაც“ შეულახონ რეპუტაცია. ამით ისინი ნაირა გელაშვილს და „კავკასიურ სახლს“-ჩირქს ვერ მოსცხებენ, მაგრამ ხუდონჰესის თემის გადაფარვა რომ მოახერხეს, ფაქტია! ხოლო გულუბრყვილო, საქმეში ჩაუხედავი თუ არასაკმარისად განათლებული საზოგადოება მათ შესაბამის წინააღმდეგობას ვერ უწევს, და სულ უფრო ექცევა მათ გავლენაში, რადგან სიკვდილივით ეშინია, იარლიყები „ჰომოფობი“, „ქსენოფობი“, „გოიმი“ და „ბნელი“ არ მიაწებოს ამ ახალმა, ცინიზმით გამსჭვალულმა „არისტოკრატიამ“.

ნაირა გელაშვილს არ ესწავლება ეთნოფსიქოლოგია, მთელი ცხოვრება ამ სფეროში მუშაობს პრაქტიკულად? საქართველოში მცხოვრებ აფხაზს ბევრი დამამცირებელი რამის მოსმენა რომ უწევდა და უწევს აფხაზებზე, ეს დიდი საიდუმლოა? მერე ასეთი ადამიანი ან არ გამწარდება, ან არ გაბრაზდება? მერე, ამან რომ მასში საპასუხო ინსტინქტი შეიძლება გამოიწვიოს, ამის მიხვედრას დიდ ინტელექტი სჭირდება? ეს ქსენოფობია კი არა, ფსიქოლოგიური მექანიზმის დადგენაა, ძვირფასო ნეოლიბერალებო!

იხ. 9 გვ.

◎ ინტერვიუ

პრემიერი ევროპასთან დაახლოებასა და რუსეთის ფაქტორზე საუბრობს

როგორც „როიტერი“ წერს, „რუსეთთან 5-დღიანი ომის შემდეგ საქართველო ემზადება უგულებელყოს მისი ყოფილი საბჭოთა პარტნიორი ევროპასთან ურთიერთობის გაძლიერებით“.

„პირველი“ სტატიის თარგმანს გთავაზობთ:

„უკრაინის გადაწყვეტილება ძალიან სამწუხაროა, მაგრამ საქართველოსა და უკრაინას სხვადასხვა ისტორია აქვთ, საქართველო რუსეთზე ნაკლებად დამოკიდებულია, ვიდრე უკრაინა. რუსეთმა, შესაძლოა, გამოიყენოს პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები საქართველოზე ზეწოლის განსახორციელებლად, თუმცა, მჯერა, რომ ეს არ შეიძლება, სერიოზული იყოს“, — აცხადებს ღარიბაშვილი.

უკრაინის მსგავსად, საქართველო ცდილობს, დაიცვას ბალანსი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, თუმცა, ევროპასთან ურთიერთობების განმტკიცება რუსეთის განაწყენების გარეშე რთულია.

მოსკოვი შეშფოთებულია, რადგან სურს, შეინარჩუნოს გავლენა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე. მიუხედავად ამისა, თბილისი ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას მოახდენს. საქართველო ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას მომავალ წელს ელის და იმედოვნებს, რომ მოსკოვის დამოკიდებულება ადეკვატური იქნება.

„გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთის ინტერესებში საქართველოსთან პოლიტიკური უთანხმოების მოგვარება იქნება“, — აცხადებს ღარიბაშვილი.

მოლდოვა, კიდევ ერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ასევე უგულებელყოფს გაფრთხილებას და ევროპასთან ახლო ურთიერთობების დამყარებას აპირებს ხელშეკრულების პარაფირებით. რაც შეეხება უკრაინას, ამ ქვეყანას ვილნიუსში, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ელოდა, თუმცა, რუსეთის გაფრთხილების შემდეგ კიევმა პოზიცია შეცვალა, განაცხადა, რომ ის ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას რუსეთთან აპირებს.

დაძაბულობა რუსეთთან

ღარიბაშვილი, რომელიც გასულ კვირას დაინიშნა პრემიერ-მინისტრად, ამბობს, რომ უკრაინისა და საქართველოს საკითხი ერთ ჭრილში განხილული არ უნდა იყოს.

საქართველო მოსკოვის ორბიტიდან უფრო შორს არის, ვიდრე უკრაინა. მან ხაზი გაუსვა თავის დამოუკიდებლობას, როდესაც დატოვა მოსკოვის ხელმძღვანელობით შექმნილი დსთ.

რაც შეეხება ურთიერთობების გაუმჯობესების ნიშნებს, მოსკოვმა რუსულ ბაზარზე წელს დაუშვა ქართული ღვინო და მინერალური წყალი. მიუხედავად ამისა, 2008 წლის ომის შემდეგ დაძაბულობის დონე მაღალი რჩება. დიპლომატიური ურთიერთობები ისევ გაწყვეტილია და მოსკოვი აკონტროლებს ორ სეპარატისტულ რეგიონს.

„ჩვენი ტერიტორების 20 პროცენტი ოკუპირებულია, რუსეთმა უკვე აღიარა აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, კიდევ რა შეუძლია გააკეთოს?“, — აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

ის ბიძინა ივანიშვილის ახლო მოკავშირეა, რომელმაც მიმდინარე თვეს დატოვა პრემიერის თანამდებობა. საქართველოს ვილნიუსის სამიტზე ახლად არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი წარმოადგენს, თუმცა, საქართველოში პრემიერს უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე პრეზიდენტს.

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ღარიბაშვილი კიდევ ერთი რთული ამოცანის წინაშე დგას. რუსეთის საკითხის გარდა, ევროკავშირი შეშფოთებულია რამდენიმე ყოფილი მინისტრის დაკავების გამო, მათ შორის არიან ყოფილი პრემიერი და შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი. ევროკავშირმა საქართველოს ლიდერებს მოსთხოვა, თავიდან აიცილონ „შურისძიების პოლიტიკა“. ასევე გამოითქვა შეშფოთება შერჩევით სამართალზე უკრაინაში, რომელმაც უარი თქვა გაეთავისუფლებინა ყოფილი პრემიერი ტიმოშენკო.

„ვანო მერაბიშვილისა და იულია ტიმოშენკოს თემა სრულიად განსხვავებულია. ჩვენ ზოგიერთ ევროპელ პარტნიორს, შესაძლოა, ჰქონდეს შეკითხვები, მაგრამ ჩვენ მათ დავარწმუნებთ, რომ მერაბიშვილის წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალეა“, — აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

ნინო ცაგოლოვი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისს სურს, უკრაინა ევროკავშირში იხილოს, მაგრამ ხელისუფლებას არა აქვს განზრახული, ჩაერიოს სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში

ვაკეთოთ წინმსწრები განცხადება, რათა დავიცვათ ჩვენი ინტერესები“, – განაცხადა დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ლევან ბეჟაშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე.

თავის მხრივ, საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, გამოთქვა თავისი მხარდაჭერა უკრაინის ევროპისკენ მისწრაფებასთან დაკავშირებით, რომელიც მან თავის ვებ-გვერდზე გააკეთა „ფეისბუქის“ სოციალურ ქსელში ფოტოგრაფიით, რომელსაც აქვს ხელმოწერა ინგლისურ ენაზე ტექსტთან ერთად: „მე მიყვარს უკრაინა. ეს არის ევროპა“, უკრაინისა და ევროკავშირის დროშების ფონზე.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალური კიევის გადაწყვეტილებამ – შეაჩეროს შეთანხმების ხელმოწერა ასოციაციის შესახებ ვილნიუსის სამიტზე 28-29 ნოემბერს, ფართომასშტაბიანი მღელვარება გამოიწვია უკრაინაში. ლიტვის პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის საკითხებში უფროსი მრჩეველის იოვიტა ნიალიუპშენეს განცხადების თანახმად, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ლიტვის პრეზიდენტს დალი გრიბაუსკაიტეს, რომელიც ევროკავშირში ამჟამად თავმჯდომარეობს, სატელეფონო საუბარში უამბო იმის შესახებ, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა რუსეთის დაშინების შედეგად – შეზღუდოს უკრაინის საქონლის იმპორტი, რაც უკრაინას მილიარდობით ზარალს მიაყენებს.

ევროკავშირმა განაცხადა თავისი „გაწბილების“ შესახებ უკრაინის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ხოლო ევროკომისარმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში შტეფან ფულემ 24 ნოემბერს „ტვიტერის“ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ევროკავშირის თბილისსა და კიშინოვში ელოდებიან, რომ ვილნიუსში შესაძლებელი გახდება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება და ხელშეკრულების მიღწევა თავისუფალი და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შესახებ, ესე იგი, მიღწეული იქნება წინასწარი შეთანხმება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ამ საკითხებზე. თუ ეს მოხდება, 2014 წლის სექტემბერში შესაძლებელი გახდება ამ დოკუმენტების ხელმოწერა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, რომ ევროკავშირს ჯერ არ გაუფორმებია „ასეთი მასშტაბური და ამბიციური შეთანხმება“ იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები.

უკრაინამ უკვე მოახდინა ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება, და ელოდებოდნენ, რომ მას ხელი მოეწერებოდა წელს ვილნიუსში. ამავე დროს, ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირების საკითხი სომხეთთან ასევე მოიხსნა დღის წესრიგიდან – იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკების შედეგად სექტემბრის დასაწყისში სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა განაცხადა სომხეთის გადაწყვეტილების შესახებ, შევიდეს საბაჟო კავშირში, შემდეგ კი მონაწილეობა მიიღოს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ფორმირებაში.

ამის პასუხად, ევროკავშირში განაცხადეს, რომ „აღმოსავლური პარტნიორობის“ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ, გააფართოონ თანამშრომლობა საბაჟო კავშირთან, მაგრამ მხოლოდ მეთვალყურის სახით, ვინაიდან საბაჟო კავშირის წევრობა სამართლებრივი თვალსაზრისით შეუთავსებელია გაღრმავებულ და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობასთან.

დეპუტატები ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მოუწოდებენ საქართველოს პარლამენტს, რეაგირება მოახდინოს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე და დაგმოს რუსეთის მოქმედებები.

„ნაციონალური მოძრაობა გამოდის ინიციატივით, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პარლამენტმა საგანგებო განცხადებით რეაგირება უნდა მოახდინოს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე. პარლამენტის განცხადების მიზანია – მხარი დაუჭიროს უკრაინელი ხალხის ევროპისკენ მისწრაფებას, აგრეთვე დაგმოს რუსეთის სამეზობლო პოლიტიკა... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგი დარტყმა ამ თვალსაზრისით სწორედ საქართველოზე მოვა, ამიტომ უნდა გავალდებულებები, მოახდინონ უკრაინის მოდერნიზება, „ურყევია“, და რომ ევროკავშირის კარი „ღიად“ რჩება.

სამიტი ვილნიუსში

28-29 ნოემბერს ლიტვის დედაქალაქში „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტი გაიმართება. პროგრამა „აღმოსავლური პარტნიორობის“ მიზანია პოლიტიკური ასოციაციისა და სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელარუსთან, უკრაინასთან, საქართველოსთან და მოლდოვასთან ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება თანახმად პრინციპისა „მეტი მეტისთვის“ – ესე იგი, რაც მეტი პროგრესი იქნება მიღწეული ამ ქვეყნების მიერ ორივე სტანდარტების დაახლოებაში, მით მეტს მიიღებენ ისინი სამაგიეროდ.

„არათანადროული ინიციატივა“

საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა გააკეთეს რამდენიმე განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ სიტუაცია უკრაინასთან გავლენას ვერ იქონიებს საქართველოს გადაწყვეტილებაზე მოახდინოს ევროკავშირთან შეთანხმების პარაფირება. უფრო მეტიც, ზოგიერთმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ უკრაინის მაგალითი შეიძლება „ბრიუსელისთვის აღმოჩნდეს ერთგვარი გამოფხიზლება და კარგი მაგალითი“ და დაარწმუნოს ევროკავშირი, რომ პროცესები უნდა მიდიოდეს „უფრო სწრაფტემპში“, გადაწყვეტილებები კი მიღებული უნდა იქნეს ასევე „უფრო სწრაფად“. ამავე დროს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა უკრაინის ევროინტეგრაციის მნიშვნელობა და გამოთქვა იმედი, რომ, ბოლოს და ბოლოს, „უკრაინელი ხალხი, სახელმწიფო და ევროკავშირი მონახავენ კომპრომისულ გადაწყვეტილებას“.

ამ დროს, მმართველი კოალიცია ვერ ხედავს აუცილებლობას, გააკეთოს „ექსტრემალური განცხადებები“, როგორც ამას ოპოზიცია მოითხოვს. საქართველოს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კიევმა მიიღო „თავისი სუვერენული გადაწყვეტილება“, და საქართველოს არ აქვს უფლება ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს საქმეებში. ოპოზიციის დეპუტატების მოთხოვნის პასუხად, მიიღონ დადგენილება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, დეპუტატმა „ქართული ოცნებისგან“ ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, რომ, მართალია, მზადაცაა განიხილოს დეპუტატების წინადადება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, ამ ეტაპზე მაინც მიაჩნია, რომ ეს „არათანადროულია“, – განუცხადა დოლიძემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს 22 ნოემბერს.

„ძალიან რთული წელიწადი“

ამავე დროს, ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ევროკავშირთან შეთანხმების პარაფირების შემდეგ, რომელიც, მათივე სიტყვებით, აუცილებლად მოხდება ვილნიუსში, რუსეთი შეეცდება ხელი შეუშალოს ამ შეთანხმებათა ხელმოწერას საქართველოზე ზემოქმედების გზით.

„წელიწადი ძირითადი შეთანხმების ხელმოწერის პარაფირების შემდეგ იქნება მეტად რთული, ვინაიდან რუსეთი, როგორც უკრაინასთან გამარჯვებული, მეტი ენერგიით, მეტი თავდაჯერებულობით დაიწყებს ურთიერთობის გამწვავებას საქართველოსთან, რაც ჩვენთვის სერიოზული გამოწვევა იქნება. არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთი იქნება უფრო აგრესიული“, – განუცხადა ჟურნალისტებს 26 ნოემბერს საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარემ დავით საგანელიძემ.

ამავე დროს, ხელისუფლება აცხადებს, რომ, მართალია, პოლიტიკური, ეკონომიკური და საფინანსო რისკები „რეალურად არსებობს“, საქართველო არ არის იმდენად დამოკიდებული რუსეთზე, რამდენადაც უკრაინა, და რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა „მუშაობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება დაიყვანონ ეს რისკები მინიმუმამდე“.

„ჩვენ უშიშროების საბჭოსთან ერთად, ვამუშავებთ იმის განვითარების შესაძლო სცენარებს, თუ რა ბერკეტები, შეიძლება, აღმოჩნდეს რუსეთის ხელთ. მაქსიმალური ყურადღება ეთმობა დაძაბულობის მოხსნას. რუსეთი კარგად აღიქვამს ამ სიგნალს, ვინაიდან ეს მისთვისაც მნიშვნელოვანია. მას არ შეუძლია მუდმივად იყოს დაძაბულ სიტუაციაში ევროპასთან“, – აღნიშნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო საკითხებში ვანო მაჭავარიანმა.

ამ დროს, უკანასკნელი დღეების განმავლობაში თბილისსა და ბათუმში გაიმართა არაკომერციული ორგანიზაციებისა და სტუდენტების დემონსტრაციები უკრაინის ხალხის მხარდასაჭერად. საპროტესტო აქციების ორგანიზატორების სიტყვით, მათი შეკრების მიზანია, უკრაინელთა ევროპული მისწრაფებების სოლიდარობის გამოხატვა. დემონსტრაციების მონაწილეებმა ასევე მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, გააკეთოს შესაბამისი განცხადება ევროკავშირში უკრაინის ინტეგრაციის მხარდასაჭერად.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

პუტინი და ძმები ტერორისტები – ცარნაევები პრეტენზიას აცხადებენ „წლის ადამიანის“ წოდებაზე – 2013 წელს, ჟურნალ „ტაიმის“ ვერსიით

პუტინი შორტ-ფურცელში გავიდა 42 კანდიდატიდან იმის წყალობით, რომ, რედაქციის გამოთქმით, „ჩაეჭიდა“ ამერიკის შეერთებულ შტატებს ამერიკის სპეცსამსახურების მამხილებლის ედუარდ სნოუდენის ბედთან დაკავშირებით, რომელიც, სხვათა შორის, ასევე აცხადებს პრეტენზიას „წლის ადამიანის“ წოდებაზე. სხვა კანდიდატებს შორის არიან – ამერიკის შეერთებული შტატებისა და სირიის პრეზიდენტები. მაგრამ ჯერჯერობით მომღერალი – სკანდალისტი ქალბატონი ლიდერობს.

* * *

კიმ ჩენ ინს ბრალი დასდეს 500-ზე მეტი მილიონი დოლარის ხარჯვაში გარდაცვლილი გელადების კულტის მხარდაჭერისთვის

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 200 მილიონი დოლარი დაიხარჯა კიმ ირ სენისა და კიმ ჩენ ირის სტელების, მოზაიკური პანოებისა და უზარმაზარი ქანდაკებების დაყენებაზე. კიდევ 300 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა მმართველი ოჯახის წევრების სახელობის 40 დიდი სახელმწიფო ობიექტის მშენებლობაზე. მაგრამ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში არა მხოლოდ გარდაცვლილ ლიდერებს ადიდებენ.

* * *

ევროკავშირში განეწყვნენ „გამოაცოცხლონ“ რუსეთთან ურთიერთობა ვილნიუსის სამიტის შემდეგ. ეძსპერტებმა კი დაასახელეს საფრთხეები უკრაინისთვის

პოლიტიკოსები კვლავ გადაკვრით მიუთითებენ, რომ სწორედ მოსკოვის ზემოქმედების გამო გადაიფიქრა კიევმა, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ, ამავე დროს, ღებულობენ ზომებს, რომ არ გააფუჭონ ურთიერთობა რუსეთთან უკრაინის გამო. პოლიტოლოგებს აზრიც კი გაუჩნდათ, რომ ევროკავშირი და რუსეთის ფედერაცია შეიძლება შეთანხმდნენ იანუკოვიჩის ზურგსუკან, რაც მნიშვნელოვნად შეარყევს მის ხელისუფლებას.

სირიის ძიმური იარაღი შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების მშრალტვირთიან ხომალდზე გაანადგურონ ისეთი სისტემის დახმარებით, რომელიც პირველად იძნება გამოყენებული

ამერიკის ხელისუფლება განიხილავს ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის ვარიანტს ხმელთაშუაზღვის საერთაშორისო წყლებში მშრალტვირთიან ხომალდზე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ტრანსპორტის სამინისტროს ეკუთვნის. ეკიპაჟი იქნება სამოქალაქო, აკვატორიუმს კი ხომალდის მახლობლად პატრულირებას გაუკეთებენ ამერიკის სამხედრო ხომალდები.

სწრაფი რეაგირების ლეგიონები

(მეშვიდე გვერდიდან)

ის ლამის ერთადერთი იყო, ვინც მუდამ უმხედრდებოდა ავყიაობას აფხაზთა მისამართით, ვინც ლამის ერთადერთი იყო, აფხაზეთში ჩვენი ჯარის შესვლას რომ ეწინააღმდეგებოდა, ვინც აფხაზური ენის კურსები გახსნა გაგანია ქართულ-აფხაზური ომის დროს და აფხაზური ლიტერატურის გამოცემა დაიწყო? ვის უზარმაზარ რომან-ენციკლოპედიაშიც („პირველი ორი წრე“) საოცარი პატივისცემით და თანაგრძნობით არის აფხაზი ხალხი წარმოდგენილი? ეგებ ჩაგეხედათ ამ წიგნში? და ვისაც ჰგონია, რომ ეს ყველაფერი უხიფათო იყო, იმას ეტყობა ჭურში აქვს გატარებული მთელი ეს წლები. სწორედ იმაზე არ უნდა ატეხილიყო ვაი და ვიში, რომ „ერუდიტების“ ახალი, „ლიბერალური“, **უცხოეთში „განათლებული“ თაობა: ახალგაზრდა თუ არც ისე ახალგაზრდა დოქტორები და პროფესორები საქართველოს ისტორიაში ყველაზე საშინელი ხელისუფლების ხელქვეითებად რომ იქცნენ. მაგრამ ეს „იდენტობასა“ და მის იდენტურებს.**

„იდენტობა“ მრისხანებს, როგორ თუ ნაირა გელაშვილმა ოთხი თვის წინანდელ ტელეგადაცემაში გეიაღლუმს „გულისამრევი“ უწოდა, მანიფესტაციების უფლებას კი „ფორმალური ლოგიკაო.“ ნაირა გელაშვილი სამიოდე წლის წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ ის საერთოდ ვერ იტანს ვერავითარ პარადს და მით უფრო სექსუალური შინაარსის მქონეს, სულ ერთია, რომელი ორიენტაციის იქნებაო. ვინც იცნობს ნაირა გელაშვილის ნაწერებს, იცის, რა ხშირად და ხაზგასმით იმეორებს მწერალი, რომ ადამიანის დაცემის ბოლო საფეხურად სირცხვილის დაკარგვა მიაჩნია. მას მიაჩნია, რომ ასეთი ტიპის აღლუმი არის დაბალი კულტურისა და უგემოვნობის, ამავე დროს უსირცხვილობის გამოვლენა, სულ ერთია ეს გეია თუ ჰეტერო. არა აქვს ამის უფლება? რაც შეეხება ამ ყბადაღებულ პოლიტკორექტულობას, რაც ფაქტობრივად არის არაინდივიდუალური, უსახო, უაქცენტო, ყალბი და უშედეგო და ამიტომ გულის შემაღონებელი მეტყველება, იგი ისევე კლავს ადამიანს, როგორც ყველანაირი სიტყვაბილწობა, ტლანქსიტყვაობა და ველური უტაქტობა. ჩვენი ენა დღეს ამ „მშვენიერებებით“ ბრწყინავს.

მწერალი, მართალია, ჩვეულებისამებრ სრულიად ობიექტურად შეეცადა აეხსნა (და არა გაემართლებინა) ამ მასის შინაგანი მდგომარეობა და თქვა, რომ ეს ხალხი, თავს უმრავლესობად კი არა, უმცირესობად აღიქვამს, რადგან „ჰომოფობიის“ წინააღმდეგ გამოსული მცირე ჯგუფის მიღმა ამერიკა და ევროპა ეგულება. ეს ხალხი მუდმივი დანაკარგებით გამოწვეულ სტრესში ცხოვრობს: რაოდენობრივად საგანგაშოდ შემცირდა, დაკარგა ტერიტორიები, სამსახური, ხედავს, რომ გაუყიდეს მიწები, საძოვრები, ტყეები, ქვეყანა დამოუკიდებლად ვერაფერს წყვეტს, უცხოელებით უკონტროლოდ ივსება, და აი, ჰომოსექსუალიზმსაც თავზე ახვევენ, რაც მას საბოლოოდ მოუღებს ბოლოს.

აი, ასე ხედავს ხალხი (რომლის ლამის 90 პროცენტი თავს ეკლესიას აკუთვნებს) და გამწარებულია. და მთელი 2 თვე მასმედიის საშუალებით გეიაღლუმი რომ ცხადდება, ხომ უნდა მიხვდე, რას რა მოჰყვება? მით უმეტეს, რომ ქვეყანაში გლოვის დღეებია ავღანეთიდან ჩამოსვენებული დაღუპული ჯარისკაცების გამო. **თუ ხვდები და მაინც აწყობ მანიფესტაციას, პროვოკატორი ხარ, თუ ვერ ხვდები, — პრიმიტიული ცნობიერების მქონე. რაშიც მწერალს სრულიად ვეთანხმები. შემდეგ იგი ეხება თავისუფლების საკითხს და ამბობს, რომ მხოლოდ უფლება იგულისხმება: მოვალეობის გარეშე, — ცარიელი სიტყვა, „ფორმალური ლოგიკაა“, რომელიც „აფეთქებს სინამდვილეს“, რაც ელემენტარული ჭეშმარიტებაა. ყველაზე ფუნდამენტური განმარტებით თავისუფლება ხომ „გაცნობიერებული აუცილებლობაა“და არა იმის კეთება, რაც მოგვეპრიანება. უფლება კეთილგონიერებისა და მიზანშეწონილობის გარეშე დესტრუქციულია. აი, ამას ამბობს მწერალი და რა არის აქ ქსენოფობიური თუ ჰომოფობიური?** ეს ხომ ობიექტური განსჯის ველია? როცა უფლებისა და თავისუფლების თაობაზე ვედავებით, ისიც გავიხსენოთ, რომ ნაირა გელაშვილი ფილოსოფიურად საკმაოდ განსწავლული მწერალი და შელინგის, ნიცშეს, ჰაიდეგერის და სხვათა შესანიშნავი მთარგმნელია.

მთელ ამ ამბავში ყველაზე ქართული და გულსატკენი კი იყო ის, რომ ორი- სამი მწერალი ვერ გაერთიანდა, რათა ერთად აღსდგომოდნენ წინ მწერლის წინააღმდეგ გაჩაღებულ ამ მდარე კამპანიას, მარტო არატრადიციული ორიენტაციის ხალხია დასაცავი?

ახლა კი მართლა „წყევლა-კრულვიანი“ საკითხი:

საერთოდ, როგორც ცნობილია, სექსუალური უმცირესობები ამერიკისა და სხვა ქვეყნების საელჩოების განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობენ და მათი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. ისინი სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას დასავლეთს, რომ მათი უფლებები უკიდურესად ირღვევა და საქართველოში უკიდურესად შევიწროებულნი არიან. რა თქმა უნდა, საზოგადოებას სჭირდება განსხვავებულთა მშვიდობიანი თანაარსებობა, რომ არავინ არავისგან არ დაიჩაგროს, რომ ძალადობა ყოველთვის დასაგმობია. მაგრამ, ამ მეთოდებით: სოციალურ ქსელებში მოიერიშე ჯგუფების ჩამოყალიბებით, რომლებიც ლენინური კომკავშირივით მიმართავენ ცილისწამებას, დემაგოგიას, პიროვნების დისკრედიტაციას, შეცდომაში შეჰყავთ ახალგაზრდობა, შეგნებულად თუ შეუგნებლად გამოდიან გარკვეული (თუ გაურკვეველი) პოლიტიკური თუ ფინანსური ძალების ინსტრუმენტად, — რომ ვერ მოხერხდება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობა დანარჩენ საზოგადოებასთან (პირიქით, მათ მწერლის წინააღმდეგ წამოწყებული ამ კამპანიით ბევრი დამცველი დაკარგეს), და ჩნდება შეკითხვა: მართლა უნდა ამ ჯგუფს მშვიდობიანი თანაარსებობა? ამ ბოლო შემთხვევის ანალიზი გვაძლევს ეჭვის გამოთქმის საშუალებას: **არ არის გამორიცხული, რომ „იდენტობას“ სწორედ მსხვერპლის როლი სწყურია, რადგან ეს უკეთ უზრუნველყოფს შემოსავალს გრანტების სახით. და ის, რომ მისი საქციელი ცხოვრებას უმძიმებს ათასობით ადამიანს, მათ შორის უმცირესობის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც სულაც არ იზიარებენ ამ მეთოდებს, შესანიშნავი ადამიანები არიან, თავიანთი საქმე აქვთ და კარგადაც ასრულებენ მას, ეს იდენტობას ნაკლებად აწუხებს.**

ერთი-ორჯერ ქართულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სოციალური ქსელების კონტროლი და გარკვეული სოციალური ჯგუფების მართვა ნაციონალებს სისტემად და დარგად უქცევიათ, რომელსაც თურმე ასწავლიდნენ კიდეც და ალბათ ახლაც ასწავლიან ზოგ უმაღლეს სასწავლებელში. მუსირებს აზრი, რომ ამ საქმეს გიგა ბოკერია, თამარ ჩერგოლეიშვილი და ნოდარ ლადარია უძღვებიან. მე მგონი, აუცილებელია, ამ საქმის ბოლომდე გამოკვლევა.

ლაშა დადიანი

◎ გაფრთხილება

გადავარჩინოთ მეცნიერება და მეცნიერება გადაგვარჩენს ჩვენ!

ოცდამეერთე საუკუნეში თანამიმდევრული მეცნიერული აზროვნება ცივილიზებული სამყაროს ცხოვრების საფუძველი გახდა, მისი კონსტრუქციულ-კრეატიული ფუნქციონირების განმსაზღვრელი. სწორედ მეცნიერული პრინციპები, იდეები და ცოდნა განსაზღვრავენ თანამედროვე ურთულეს და მრავალპლასტიან ცხოვრებას, მატერიალური დოვლათის შექმნას, თანამედროვე მსოფლმხედველობას. სწორედ ამის გაცნობიერების გამო ამ საუკუნის დასაწყისში (ლისაბონში — 2000 წელს და ბარსელონაში - 2002 წელს) ევროპის ქვეყნების მთავრობებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციებს, რომელთა მიხედვითაც ევროპა მიზნად ისახავს გახდეს ცოდნაზე დამყარებული საზოგადოება და შექმნას ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა.

ამდენად, ცივილიზებულ ქვეყნებთან რამდენადმე მაინც ჰარმონიული, კონკურენტუნარიანი თანაარსებობა შეუძლებელია მეცნიერული აზროვნების კულტურის, ანუ მეცნიერების განვითარების გარეშე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერება საქართველოსთვის სტრატეგიული საზრუნავია — არანაკლებ სტრატეგიული, ვიდრე ქვეყნის თავდაცვის სისტემის შექმნა და იგი ხელისუფლებისაგან არანაკლებ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს.

გლობალიზაცია ბევრ ქვეყანას იდენტურობის დაკარგვასა და ნიველირებას უქადის. ეს ემუქრება მათ, ვინც ალღოს ვერ აუღებს დროის მოთხოვნებს, ვინც ბაზურ ფასეულობებზე დაფუძნებული არ არის, ანუ ვინც სახელმწიფოდ არსებობის ღირსი ვერ გამოდგება. მეცნიერება კი ბაზური ფასეულობაა — ის ქვეყნის „სამკაული“ კი არ არის, არამედ მისი არსებობის აუცილებელი პირობაა. ამ ფონზე კითხვის დასმაც კი, — საჭიროა თუ არა საქართველოში მეცნიერების განვითარება, ქვეყნისადმი მტრულად განწყობად, უკეთეს შემთხვევაში, სიბრიყვედ აღიქმება.

და თუ მაინც ვერ გააცნობიერა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მეცნიერების განვითარების ცხოველმყოფელობა და თუ საზოგადოებაც შეეგუა მოვლენათა ასეთ მსვლელობას, რას უნდა ველოდოთ, რა ბედი ეწევა ქვეყანას?

— ის ბედი, სადამდეც მიიყვანს მას სიბრიყვე და ქვეყნისადმი მტრობა... ზოგადად, ეს იქნება ქვეყნის მარგინალიზაცია, კონკრეტიკას ნუ ჩავუღრმავდებით, ეს შემზარავი პერსპექტივაა!..

ჯერ ისევ იმ მუხტით ვართ, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში „ნაციონალების„ მიზანტროპული და ავტორიტარული მმართველობის დამარცხებით მივიღეთ — რომ მოვლენათა საბედისწერო მსვლელობა უკვე აიცილა საქართველომ. ღმერთმა გვაცილოს, მაგრამ თუკი შევცდით და მეცნიერება საქართველოში კვლავ „უთვისტომოდ“ და დაუფინანსებლად დარჩა? მაშინ ბედისწერას ვერ ავცდებით! ჩვენ გადავგვარდებით, თორემ ამით კაცობრიობა არ დაიქცევა და არც „ძაძებით შეიმოსება“ — დასავლეთი ჩვენს მარგინალიზაციას განვითარების კანონზომიერებებით ახსნის და დაასკვნის, რომ საქართველო ვერ გაერკვა დროის მოთხოვნებში — წავიდა იმ გზით, რომელსაც იმსახურებდა...

გიორგი ჩაგელიშვილი,

ფიზ-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● გუშინ ევროკავშირის ექვსმა ქვეყანამ უარი თქვა ევროვიზიაში მონაწილეობაზე იმის გამო, რომ არა აქვთ თანხა, რომლითაც თავიანთი წარმომადგენელი უნდა დააფინანსონ!

შემირცხვენია ის ევროკავშირი, რომლის 6 (ექვსი) ქვეყანა თავის წარმომადგენელს ფინანსური მდგომარეობის გამო მუსიკალურ ფესტივალზე ვერ გაგზავნის!!!

რა ევროკავშირი, რის ევროკავშირი?

მუსიკალურ ფესტივალზე ვერ უშვებენ ჩეხეთი, ბულგარეთი დ.ა.შ და ჩვენ იქ ვეტენებით?

● ცნობილი ქართველი „სოფლელებისა“ და „არაძირძველი თბილისელების“ არასრული სია:

ილია ჭავჭავაძე — ყვარელი; აკაკი წერეთელი — სოფ. სხვიტორი; ვაჟა-ფშაველა — სოფ. ჩარგალი; კონსტატინე გამსახურდია — სოფ. ძველ აბაშა; მიხეილ ჯავახიშვილი — სოფ. წერაქვი; გალაკტიონ ტაბიძე —სოფ. ჭყვიში; გიორგი ლეონიძე — სოფელი პატარძეული; ლადო ასათიანი — ქუთაისი; პაოლო იაშვილი — გამოღმა არგვეთი; ტიციან ტაბიძე — სოფ. ჭყვიში; კოტე მარჯანიშვილი — სოფ. ყვარელი; ზაქარია ფალიაშვილი — ქუთაისი; სესილია თაყაიშვილი —ბათუმი; ვერიკო ანჯაფარიძე — ქუთაისი; სერგო ზაქარიაძე — ბაქო; ეროსი მანჯგალაძე — სამტრედია; რევაზ ლაღიძე — სოფ. ბაღდათი; ბიძინა კვერნაძე — სილნაღი; აკაკი ხორავა — სოფ.ოჩხომური; ტერენტი გრანელი — წალენჯიხა; ანა კალანდაძე — სოფ. ხიდისთავი; ოტია იოსელიანი — სოფ. გვიშტიბი; ჯანსუღ კახიძე — სოფ. ობჩა;. ელენე ახვლედიანი — თელავი; აკაკი შანიძე — სოფ. ნოღა... გავაგრძელო?

● ზოგი ზვიგენის სიკვდილს დარდობს, ზოგი ქალბატონის მკერდის კონტურებმა გააოგნა, ზოგიც „ბლატაობს“ და „სახლის ლომობს“. მოკლედ, 1 ოქტომბრის მერე იმდენ „ლომს“ ვუყურებ და ვუსმენ, სანდახან მგონია, რომ თბილისის აქოთებულ ზოოპარკში მოვხვდი. სად იყავით, სად, 10 წელი რომ არ ჩანდით?!

● ხატია ბუნიათიშვილი მაგარი კაი გოგოა! რა, მკერდი არ მოგეწონათ, თუ ის, მიშაზე რო თქვა, გენიოსიაო?

სხვები რა, გენიოსები არიან (ეგეთი მკერდი აქვთ იმ სხვაზე გენიოსის მთქმელებს)?

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ძიუდო

ტოკიო უმასპინძლებს

იაპონიის დედაქალაქი 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე ძიუდოისტთა დიდი სლემის ტურნირს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაში ასეთი შემადგენლობით ჩაებმება: ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ), ფრიდონ გიგანი (73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი (ორივე – 81), ვარლამ ლიპარტელიანი (90) და ალექსანდრე მსხალაძე (100), ლევან მატიაშვილი, გიორგი ზაქარიაძე (ორივე – +100). ტურნირის შემდეგ ქართველი ძიუდოისტები ტოკიოში ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე დარჩებიან, რომელშიც ზემოაღნიშნულ ფალავნებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ამირან პაპინაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი, ნოდარ მეტრეველი და ადამ ოქრუაშვილი.

* * *

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ 2014 წლის შეჯიბრებათა კალენდარი გამოაქვეყნა. გაისად საერთაშორისო ტურნირების სეზონი 1-2 თებერვალს ევროპის ღია პირველობით გაიხსნება, მაგრამ ჯერ უცნობია, რომელ ქვეყანაში. 8-9 თებერვალს პარიზის დიდი სლემია გათვალისწინებული, 21-23 მარტს მსგავსი ტურნირი თბილისშია დაგეგმილი, 24-27 აპრილს ევროპის ჩემპიონატი მონპელიეში (საფრანგეთი) გაიმართება, 25-31 აგვისტოს ჩელიაბინსკი (რუსეთი) მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

გოლები ჩქარა!..

ჩემპიონთა ლიგის ოთხშაბათის რაუნდის 8 შეხვედრაში 36 ბურთი გავიდა (საშუალოდ 4,5 – ერთ მატჩში). ბომბარდირთა ასეთი მონაგარი ძალაუნებურად გაფიქრებინებს კაცს – მოახლოებული მუნდიალის წინ ხომ არ აჩქარდნენ კონტინენტის ელიტური კლუბების თავკაცები, თავიანთ ვარსკვლავებს გვიან შემოდგომაზევე რომ ააკრეფინეს სათანადო კონდიციები?

ჩვენთვის ეს, იცოცხლეთ, სასურველიც კია. ერთი ეგაა, ზაფხულში არ გაგვიხდეს დღევანდელი გოლების წვიმა სანანებელი.

„ა“ ჯგუფი. „ლევერკუზენი“ – „მანჩესტერი“ 0:5, „შახტარი“ – „სოსიედადი“ 4:0.

„მანჩესტერი“ – 11, „შახტარი“ – 8, „ლევერკუზენი“ – 7, „სოსიედადი“ – 1 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. „რეალი“ – „გალათასარაი“ 4:1, „იუვენტუსი“ – „კოპენჰაგენი“ 3:1.

„რეალი“ – 13, „იუვენტუსი“ – 6, „გალათასარაი“, „კოპენჰაგენი“ – 4-4.

„გ“ ჯგუფი. „ანდერლეხტი“ – „ბენფიკა“ 2:3, „პარი სენ-ჟერმენი“ – „ოლიმპიაკოსი“ 2:1.

„პარი სენ-ჟერმენი“ – 13, „ოლიმპიაკოსი“, „ბენფიკა“ – 7-7, „ანდერლეხტი“ – 1 ქულა.

„დ“ ჯგუფი. ცსკა – „ბაიერნი“ 1:3, „სიტი“ – „პლზენი“ 4:2.

„ბაიერნი“ – 15, „სიტი“ – 12, ცსკა – 3, „პლზენი“ – 0 ქულა.

გიორგი შოთაძე

◎ კრივი

ჩემპიონები ბაქოში იასპარეზებენ

1996-1997 წლებში დაბადებული მოკრივეები მონაწილეობდნენ საქართველოს პირველობაში, რომელსაც სამი დღის განმავლობაში ახალქალაქი მასპინძლობდა. საასპარეზოდ თავი მოიყარა სხვადასხვა რეგიონის 70-მა მოკრივემ. გამარჯვებულები გამოვლინდნენ 9 წონით კატეგორიაში. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლაშა კობახიძე (49 კგ, გორი), ლევან კლდიაშვილი (52, ქუთაისი), ლევან ანთია (56, ფოთი), ლაშა გურული (60, რუსთავი), გიორგი დოდიაშვილი (64, გორი), ნოდარ აბულაძე (69, თელავი), რობერტ სიმონიანი (75, ახალქალაქი), გიორგი ზედგინიძე (81, გორი), დემურ მაჭარაშვილი (+81, ქუთაისი). ჩემპიონებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები ბაქოში მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

ქართველთა „სარაგოსამ“ ბერლინელები გაანადგურა



ვიქტორ სანიკიძის და გიორგი შერმადინის „სარაგოსამ“ ევროთასზე მე-4 გამარჯვება იზეიმა და D ჯგუფის მოწინავე სამ გუნდს შორის შეაღწია, რაც მომდევნო ეტაპზე გასვლის წინაპირობაა.

ესპანურმა კლუბმა ბერლინის „ალბა“ მიიღო და გერმანელთა ძლევა არ გასჭირვებია – 75:50. ქართველ კალათბურთელთაგან სასტარტო ხუთეულში შერმადინი იყო და 15:20 წუთში 2 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. გიორგიმ 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

უფრო შედეგიანი იყო სანიკიძე, რომელმაც 20:54 წუთში 7 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა. ქართველმა ფორვარდმა 3-დან 2 ორქულიანი და 5-დან 1 სამქულიანი გამოიყენა, ერთხელ შეცდა და ამდენჯერვე დაჯარიმდა.

ევროთასის D ჯგუფს 5-5 მოგებით ფრანგული „გრაველინი“ და ხსენებული „ალბა“ ლიდერობენ, „სარაგოსას“ და კიდევ ერთ გერმანულ კლუბ – „ბონს“ 4-4 გამარჯვება მოუგროვდათ, შემდეგ კი იტალიური „რომა“ (2) და ბელგიური „მონსი“ (1) მოდიან.

4 დეკემბერს სარაგოსელები ბონის „ტელეკომ ბასკეტსს“ უმასპინძლებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კალეხონის თავისნათქვამა სატრფო

ესპანეთიდან **იტალიაში გადაბარგებული ესპანელი ფეხბურთელის ხოსე კალეხონის სატრფო მარტა პაოლო ცოცხალი თავით არ აპირებს შეყვარებულთან იტალიაში საცხოვრებლად ჩასვლას და აქეთ ემუქრება: „თუკი ხოსე იმ უბედურ იტალიის სამხრეთში საცხოვრებლად წასვლას მთხოვს, იმწუთში დავშორდებიო“.**

ახირებულ ქალს ჩვენს ტანჯულ პლანეტაზე აბა რა დალევს, მაგრამ, როგორც ჩანს, კალეხონის მეგობარი გოგო აშკარად ნამეტანი წუნია და თავისნათქვამა ვინმეა, თორემ დღისითმზისით, ამოდენა მედიის წინ ასეთ სისულელეებს არ დააზღერთებდა და განეაპოლიტანებულ შეყვარებულს (რომელთანაც ერთი შვილი უკვე ჰყავს) თავს არ მოსჭრიდა.

ისე, ეს ჩვენი მარია პაოლო ბევრს კი იმუქრება, მაგრამ აგერ უკვე ხუთი წელიწადია, ხოსე კალეხონს ხვდება და სხვაგან გახედვას (ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანს) არ აპირებს. მადრიდის „რეალიდან“ გამობუნძულებულ კალეხონს შეიძლება მთლად ლეო მესისთანა ავტორიტეტი არა აქვს, მაგრამ მაინც ცნობილი ფეხბურთელია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ თაობა

პირდაპირ უნდა ითქვას - გაგვიმართლა!

ასეთ მეტოქეებს, ალბათ, ბევრი ინატრებდა. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებებზე მოგახსენებთ, რომლებიც გაისად შემოდგომაზე 2015 წლის თანატოლთა ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ.

გაუწყებთ კენჭისყრის შედეგებს.

17-წლამდელები. საქართველო, პოლონეთი, ესტონეთი, ლიხტენშტეინი.

19-წლამდელები. საქართველო, რუმინეთი, კვიპროსი, მონტენეგრო.

დავძენთ, რომ შესარჩევი ტურნირების გამართვის ადგილები მოგვიანებით დაზუსტდება, აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფებიდან კი ელიტ-რაუნდში ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ანაკლიას ღირსებები არ აკლია!

აშენების რა პერსპექტივა აქვს ანაკლიის პორტს?

(მეექვსე გვერდიდან)

რაც შეეხება ანაკლიის უპირატესობას, ექსპერტი განმარტავს, რომ, თუ ჩვენ გვინდა დიდი ფუნქციის შესრულება, ანუ სერიოზული სატრანსპორტო კვანძის შექმნა, ანაკლიის პროექტი უნიკალურია თავისი საინჟინრო გადაწყვეტით და მასშტაბით. ამიტომ ექსპერტი ახალი მთავრობის გადაწყვეტილებას იწონებს, რომელსაც სურს, დარწმუნდეს ამ პორტის უნიკალურობაში და ამისთვის 5 მილიონი დოლარი გაიღოს.

მით უმეტეს, რომ ეს იქნება არა მარტო ანაკლიის პორტი, არამედ საუბარია აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ სერიოზულ სატრანსპორტო კვანძზე. **ფაქტობრივად, სდება ოთხი სატრანსპორტო საშუალების კონცენტრირება ერთ ადგილზე** და ამასთან, ამოქმედდება მილგაყვანილობაც. ასე რომ, დემურ გიორხელიძის აზრით, 5 მილიონი ნამდვილად ღირს ამ დიდი პროექტის რეალიზაციისთვის.

„უშუალოდ პორტი და მისი შემოგარენი, კონსტრუქციები ჯდება 5, 2 მილიარდ დოლარამდე, მთლიანად ინსფრასტრუქტურა კი, — თითქმის 9 მილიარდამდე. ამ თანხის მოძებნა პრობლემა არ არის, მთავარია, მთავრობის სწორი პოზიცია და მისი პოლიტიკური ნება. მთავრობამ უნდა მიანიშნოს სახელმწიფოებს, რომ იგი დაინტერესებულია ასეთი მასშტაბური, ბრწყინვალე პროექტის რეალიზაციით. იმისთვის, რომ ამ პროექტის დასაფინანსებლად მოწვეულ იქნან ინვესტორები, დასავლეთში მიღებული სტანდარტებით, საჭიროა არა მხოლოდ ბიზნესგეგმა, არამედ ცნობილი აუდიტორული კომპანიის დასკვნებიც, რომელიც სერიოზულ შესწავლას ეფუძნება“, — აცხადებს დემურ გიორხელიძე For.ge-სთან საუბარში და ფიქრობს, რომ ქართულმა მხარემ ხარკი უნდა გაიღოს ამ მიმართულებით.

კერძოდ, სავარაუდოდ, მთავრობა დაიქირავებს ცნობილ საკონსულტაციო ფირმებს, რომლებიც შეისწავლიან ამ პროექტის მასშტაბებს, მისი ფუნქციის რეალიზაციის შესაძლებლობებს და მიიღებენ დადებით დასკვნას პროექტის რეალიზაციისთვის. ამას კი ხელს შეუწყობს ამ პროექტის ცნობადობა როგორც ევროპაში, ისე ამერიკასა და აზიაში.

„სააკაშვილი ამ პროექტზე არ საუბრობდა. მართალია, წინა მთავრობამ იცოდა ამ პროექტის შესახებ, მაგრამ მათ აიკვიატეს ლაზიკა. სინამდვილეში, დიდი სხვაობაა ანაკლიის პორტსა და იმ უბადრუკ პროექტს შორის, რასაც ლაზიკა ჰქვია. ესენი შეუდარებელი მასშტაბის პროექტებია. სააკაშვილს შეეძლო, ანაკლიის პროექტის რეალიზაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გააკეთა. ეს პორტი უზრუნველყოფს ძალიან დიდი წყალწყვის გემების მიღებას, მათ შორის, დიდი კონტეინერული გადამზიდების მიღებას. ეს არის რამდენიმე ათეულ გემზე გათვლილი და არა მხოლოდ გემების მიღებაზე. აქ არის აეროპორტი, სარკინიგზო კვანძი და ეს არ არის მხოლოდ პორტი, ეს არის ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი“ — გვითხრა დემურ გიორხელიძემ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია ჩვენთან საუბრისას განმარტავს, რომ ფოთის პორტს თავისი პატრონი ჰყავს, ბიზნეს-კონგლომერატ „მაერსკის“ სახით და მას საკმაოდ სერიოზული გეგმები აქვს. ამდენად, მათ საქმიანობაში მთავრობა ვერ ჩაერევა. რაც შეეხება ანაკლიის პორტს, ექსპერტის თქმით, ჯერ არ მომხდარა ანაკლიის დეტალური შესწავლა, თუ საიდან მოდის ტვირთები, რა სახის ტვირთებია და ა.შ. ამიტომ უნდა გაირკვეს, თვითონ პროექტის ავტორს რაზე აქვს აქცენტი გადატანილი, უნდა შეისწავლონ მისი საჭიროების საკითხი.

„ანაკლია რაზეა გათვლილი, ვერ გეტყვით და რეალურად ეს არავინ იცის. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ საქართველოში, მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამენ. ეს პოლიტიკური ლაპარაკი უფროა, ვიდრე ციფრები და კონკრეტული გეგმები“, — აცხადებს ემზარ ჯგერენაია.

არის თუ არა 5 მილიონი დოლარი დიდი თანხა, ექსპერტს ამის თქმა უჭირს. თუმცა ადასტურებს, თუ მსოფლიოში ცნობილ კომპანიას შევუკვეთავთ ამ საკითხის შესწავლას, შესაძლოა, ეს თანხა ცოტაც იყოს. ხოლო, თუ შევუკვეთავთ ქართულ კომპანიას, შეიძლება, ბევრიც იყოს.

„აქ მნიშვნელოვანია, რა კვლევა არის შეკვეთილი — ქვეშ ნაშალი ინერტული მასალების მოძრაობა, ლიანდაგის გაყვანის საკითხი, ტერმინალების ადგილმდებარეობა, რკინიგზის გავლის საკითხი, ჭაობის ამოშრობა, — უამრავი რამ არის შესასწავლი და, ალბათ, კვლევას უცხოელს შეუკვეთავენ, რადგან ჩვენ ამის სპეციალისტი არ გვყავს“, — აღნიშნა ემზარ ჯგერენაიამ.

მისი თქმით, ანაკლიის პორტის დანიშნულება აბსოლუტურად სხვა მიმართულებაა და ის არ უნდა განვიხილოთ ფოთის პორტის ანალოგიურად. თუმცა ერთიცაა, ანაკლიის პორტი, ყველა შემთხვევაში, იქნება ფოთის პორტის კონკურენტი, ისევე, როგორც ყულევის, ბათუმის პორტების კონკურენტი.

მანანა ნოზაძე

მეუღლე რომან შაქარიშვილი, შვილები ლელა, გიორგი, შვილიშვილები სოფო, ნიკუშა, გოგა, ირაკლი, ლუკა, ნატა, რძალი ეკა ასათიანი, სიძე ნუგზარ ქევხიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანანა სარიშვილი

პანაშვიდი 29, 30 XI, 17 სთ. დაკრძალვა 1 XI, 14 სთ. მისამართი: ირ. აბაშიძის №14.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მისი საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოს რომან შაქარიშვილის მეუღლე

მანანა სარიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოს რომან შაქარიშვილის მეუღლე

მანანა სარიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს აკადემიკოს რომან შაქარიშვილს მეუღლის

მანანა სარიშვილის

გარდაცვალების გამო.

ფრიდონ თოდუა ოჯახით თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს, საქვეყნოდ ცნობილ მკურნალსა და მეცნიერს რომან შაქარიშვილს მეუღლის

მანანა სარიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ რომან შაქარიშვილს მეუღლის

მანანა სარიშვილის

გარდაცვალების გამო.

რუსუდან და ივა ბერაძეები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ღირსეული ქალბატონის

მანანა სარიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს, ბატონ რომან შაქარიშვილს, შვილებს ლელას და გოგას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გაიდაიცვალა აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძის ძმა

ელგუჯა სილაგაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები თანაუგრძნოენ ბატონ ავთანდილ სილაგაძეს ძმის

ელგუჯა სილაგაძის

გარდაცვალების გამო.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები თანაგრძნობას უცხადებენ უნივერსიტეტის რექტორს გიორგი სოსიაშვილს მამის

ნოდარ სოსიაშვილის

გარდაცვალების გამო.

◎ თანამედროვე მონობა

ბიძია თომას შთამომავლები

ნავთობის ბიზნესზე უფრო სარფიანი საქმე, გაეროს მონაცემებით, იარაღით, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, ასევე მეძავეობა და, 21-ე საუკუნეში რაოდენ გამაოგნებელიც არ უნდა იყოს... ადამიანთა მონებად გაყიდვაა! ამ არალეგალურ ბიზნესში ყოველწლიურად ასობით მილიარდი დოლარი ტრიალებს, მათი მწარმოებელი დანაშაულებრივი სინდიკატები და ნამუსგარეცხილი მოხელეები საარაკოდ მდიდრდებიან, მსოფლიო თანამეგობრობა მათ დღენიადაგ ებრძვის, მაგრამ სასწორის პინა, დღესდღეობით მაინც, ამ უკანონობათა ჩამდენთა მხარესაა.

„შავი ბიზნესის“ სხვადასხვა სახეობის შესახებ მსოფლიო მასმედიაში უამრავი კრიტიკული მასალა ისტამბება, ტელე და რადიოგადაცემა ეძღვნება, მაგრამ წინამდებარე მასალაში, გარკვეული მიზეზით, მის მხოლოდ ერთ-ერთზე, კერძოდ ადამიანთა მონობაზე გვექნება საუბარი, რომლის სხვადასხვა სახეობის შესახებ მონაცემები ავსტრალიის უფლებადამცველ ორგანიზაციას „უოლქ ფრი ფაუნდეიშნის“ (Welk Free Faundation), გამოკვლევაში „მონობის მსოფლიო ინდექსი — 2013“-შია (Global Slevery index) მოყვანილი. ავსტრალიური ორგანიზაციის მოღვაწეობის მთავარი მიმართულება თანამედროვე საზოგადოებაში მონობასთან ბრძოლაა, რომლის ფარგლებში ექსპერტებმა მსოფლიოს 162 ქვეყანაში შესაბამისი კვლევები ჩაატარეს.

საბოლოო ანგარიშში თანამედროვე მონობის ყველა ფორმაა ასახული, მათ შორის **ქორწინების ძალდატანება, ადამიანებით ვაჭრობა, იძულებითი შრომა, გოგონების სასტიკი მეთოდებით წინადაცვეთა, ბავშვების შრომის ექსპლუატაცია, დაძალებით მეძავეობა, კრედიტორებზე დამოკიდებულება** და სხვა, ანუ ყველა ის ფორმა, რომელიც ამ უმწვავეს პრობლემასთან დაკავშირებით არაერთ საერთაშორისო შეთანხმებაშია აღწერილი და რომლებზეც მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობას ხელი აქვს მოწერილი.

თანამედროვე მონობის სხვადასხვა სახეობის მონობისგან სხვებზე მეტად თავისუფალი ქვეყნებია **ისლანდია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ფინეთი, ლუქსემბურგი, ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია და ახალი ზელანდია.** მსოფლიოში მონობის მხრივ კი სავალალო ლიდერები არიან **მავრიტანია, ჰაიტი, პაკისტანი, ინდოეთი, ნეპალი, მოლდოვა, ბენინი, კოტ დ' ივუარი, გამბია და გაბონი.**

ეს შედეგი, ვფიქრობთ, დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ადამიანთა პიროვნული არჩევანის თავისუფლების მხრივ მოწინავენი, ძირითადად, ჩრდილო-დასავლეთი ევროპის ქვეყნები არიან, რომლებსაც მოხსენების ავტორებმა, ასე ვთქვათ, „მონობის ინდექსის“ მიხედვით ადგილი სიის ბოლოში მიუჩინეს. ამდენად, მონობის დონის მიხედვით ჩამონათვალის ბოლოში მოხვედრილ ქვეყნებში ადამიანის ძირითად უფლებათა უზრუნველყოფის თვალსაზრისით სხვებზე გაცილებით თავისუფლები არიან. აქედან გამომდინარე მკითხველს თავად შეუძლია განსაჯოს, თუ რამდენად კარგია მასში საქართველოსთვის მიჩენილი 50-ე ადგილი. „მონობის მსოფლიო ინდექსი — 2013“-ის ავტორთა აზრით, **დღესდღეობით საქართველოში ამა თუ იმ სახეობის მონობაში 15-დან 17 ათასამდე კაცია. ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ევროპის ქვეყნებში თანამედროვე მონები, უმეტესწილად, სექს-ინდუსტრიაში და საყოფაცხოვრებო სფეროებში, ასევე სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, საზოგადოებრივი კვების დარგებში დაბალანაზღაურებად შავ სამუშაოებზე არიან დასაქმებულნი. ავსტრალიელი ექსპერტების ანგარიშით, თანამედროვე მონობაში მსოფლიოში დაახლოებით 30 მილიონი კაცია(!).**

როგორც ვხედავთ, ჰარიეტ ბიჩერ-სთოუს ცნობილი რომანის „ბიძია თომას ქოხის“ თანამედროვე „შთამომავლების“ რიცხვი საშუალო ევროპული ქვეყნის მოსახლეობაზე გაცილებით მეტია. ყველაზე სავალალო კი ისაა, რომ მათი რიცხოვნობა წლიდან წლამდე კი არ იკლებს, პირიქით, მატულობს, თანაც აბსოლუტური უმრავლესობისთვის ამჟამინდელი მონური ყოფიდან თავის დაღწევის შანსები მინიმალურია.

ცალკეა აღსანიშნავი, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის მატებით მსოფლიოს ლიდერი **ინდოეთი** ასევე პირველ ადგილზეა თანამედროვე მონობაში შეტანილი „წვლილით“: დღესდღეობით იქ ამა თუ იმ სახის მონობაში 13,3 მილიონიდან 14,7 მილიონ კაცამდეა! მეორე პოზიციაზეა ასევე მოსახლეობის მატების მაჩვენებლით მომდევნო ადგილზე მყოფი **ჩინეთი,** სადაც სავარაუდოდ, 2,8 მილიონიდან 3,1 მილიონი მონაა. ამ სავალალო სამეულის ჩამკეტი ქვეყანაა **პაკისტანი,** სადაც 2 მილიონიდან 2,2 მილიონი თანამედროვე მონაა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ჩვენი კარაბადინი

გახდომის ბაქტერიები... მუმიებიდან

ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევების შედეგად დაადგინეს, რომ არსებობს მიკროორგანიზმები, რომლებსაც ნებისმიერი ჭარბი წონის მქონე ადამიანის ტანწერწეტად გადაქცევა შეუძლიათ.

არიან ადამიანები, ვინც არანაირ დიეტას არ იცავენ, ჭამენ, რამდენიც მოესურვებათ და დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მაგრამ ტანზე ზედმეტი ცხიმის გრამსაც არ იმატებენ. ზოგი მსუქანი კი არც პურს ჭამს, დიეტას იცავს, ფიზიკურადაც ვარჯიშობს ზედმეტი წონის დასაგდებად, მაგრამ არაფერი გამოსდის. რატომ ხდება ასე? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მეცნიერები დიდი ხანია, ფიქრობენ. ბოლო დროს კი ეჭვი იმაზე მიიტანეს, რომ **ადამიანის წონაზე არა იმდენად ცხოვრების წესი და გენები მოქმედებს, რამდენადაც მიკროფლორა, ანუ ის ბაქტერიები, რომლებიც საჭმლის მონელებაში მონაწილეობენ.**

ცოტა ხნის წინათ ამერიკელმა მკვლევარებმა მართლაც დაამტკიცეს, რომ მიკროორგანიზმები მართლაც ზეგავლენას ახდენენ მეტაბოლიზმზე. მათ მსუქანი ვირთაგვების კუჭებში გამხდარი ვირთაგვების კუჭებიდან მიღებული მიკროორგანიზმები გადაიყვანეს, თან პირიქითაც გააკეთეს. შედეგად, მსუქარი ვირთაგვები გახდნენ, გამხდრები კი გასუქდნენ, თუმცა კი, მათი კვების რაციონი უცვლელი დარჩა.

მაგრამ, კონკრეტულად რომელმა ბაქტერიებმა გამოიწვიეს ეს ცვლილებები? ცოტა ხნის წინათ პროფესორ პატრის კანის მკვლევართა ჯგუფმა ამ ბაქტერიას მიაგნო – ესაა Akkermansia muciniphila, რომელსაც ბიოლოგები მსუქანი ვირთაგვების საკვებში ურევდნენ, რის შემდეგ ისინი წონაში იკლებდნენ. თუ როგორია ამ ბაქტერიის მოქმედების მექანიზმი, მეცნიერებს ჯერჯერობით არ გაურკვევიათ, თუმცა კი, უკვე დაგეგმილია ექსპერიმენტები ადამიანების მონაწილეობით. თუ ამ ექსპერიმენტებს დადებითი შედეგი, ანუ წონის დაგდება მოყვება, მაშინ, სავარაუდოდ, კაცობრიობა სიმსუქნესთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიან საშუალებას მიიღებს.

სიგამხდრის ბაქტერიებს ოკლაჰომის უნივერსიტეტის მეცნიერებიც ეძებენ, თუმცა კი, ისინი სხვა გზით მიდიან, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ **გასუქების ამჟამინდელი ტენდენცია ანტიბიოტიკების მოხმარებითაა გამოწვეული.** საქმე ისაა, რომ ადამიანის კუჭში მოხვედრილი ანტიბიოტიკები პირველ რიგში ბრძოლას ადგილობრივ, სასარგებლო ბაქტერიებს უწყებენ. ამის შედეგად, ამ „ხოცვა-ჟლეტას“ გადარჩენილმა ბაქტერიებმა სულ სხვა სახე მიიღეს და ახლა დამახინჯებულ ნივთიერებათა ცვლაში მონაწილეობენ, ანუ ორგანიზმს ჭარბი წონის აკრეფაში უწყობენ ხელს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ **საჭიროა იმ „სწორი“ ბაქტერიების მიგნება, რომლებიც ადამიანის კუჭში ანტიბიოტიკების გამოგონებამდე ცხოვრობდნენ და მათი უკან დაბრუნებაა საჭირო. შედეგად ადამიანებში ნივთიერებათა ნორმალური ცვლაც მაშინ დაიწყება და ისინი გახდებიან.**

მაგრამ ისმის კითხვა: სად შეიძლებოდა შემორჩენილიყო ეს ბაქტერიები? მათი წყარო, ალბათ, ბევრს არ მოეწონება, მაგრამ მეცნიერებმა ისინი... ძველი სამხრეთამერიკული მუმიების კუჭ-ნაწლავიდან ამოიღეს, თანაც უპირატესობას უფრო ძველებს ანიჭებდნენ, რომელთა ასაკი დაახლოებით 3 ათასი წელია.

– ძველი ბაქტერიები მართლაც განსხვავდებიან თანამედროვეებისგან დნკ-ს დონეზე, – ამბობს კვლევის ერთ-ერთი ავტორი სესილი ლიუისი. მისი აზრით, ბაქტერიების სახეცვლა არა მარტო ანტიბიოტიკების, არამედ ქლორირებული წყლის ზეგავლენითაც ხდება.

ახლა ჯერი ექსპერიმენტებზე მიდგა. მუმიებიდან ამოღებულ ბაქტერიებს მკვებავ გარემოში გაამრავლებენ და თავდაპირველად მსუქან ვირთაგვებს, შემდეგ ადამიანებს შეუყვანენ...

ნინო ალექსანდრია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაყშინაყი ვარსკვლავთან

„სააკაშვილი პოლიტიკიდან კი არ წავიდა, ძვეყნიდან გაიძცა“

– **დარწმუნებულია** პეტრე მამრაძე, – და, ეს იყო პანიკური გაქცევა, რადგან მისი ფსიქიკიდან გამომდინარე, სულ იმის მოლოდინში იყო, რომ დაიჭერდნენ. სახელმწიფო თვითმფრინავით გაიქცა, თუმცა, თვითმფრინავი დააბრუნა, რადგან იცოდა, რომ ეს კიდევ ერთი სისხლის სამართლის დანაშაული იქნებოდა. აქედან კი გაიქცა, მაგრამ დასავლეთისთვის სააკაშვილი იყო და დარჩა თავის ტკივილად. მართალია, უცხოეთშიც კარგად იცოდნენ, რასაც ის ამ წლების განმავლობაში თავის ქვეყანაში სჩადიოდა, მაგრამ ამჯერად მათ გამოიმუშავეს ასეთი მიდგომა, რომ სააკაშვილმა ბევრი რამ გააკეთა საქართველოში დემოკრატიის განვითარებისთვის და სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის, თუმცა, ჰქონდა შეცდომები... სააკაშვილი თავის გაქცევას ქვეყნიდან ასე ხსნის უცხოური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში, თითქოს საქართველოდან იმიტომ წავიდა, რომ მას აუცილებლად დაუპატიმრებდნენ, ხოლო მისი დაპატიმრება მაშინვე სამუდამოდ გადაუღობავდა გზას საქართველოს ევროპისკენ.

„რეზონანსი“

ლეკიშვილი არჩევნებში კენჭს იყრის?

თბილისის ყოფილმა მერმა ნიკო ლეკიშვილმა, შესაძლოა, არჩევნებში კენჭი იყაროს. მისი განცხადებით, თვითმმართველობებთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული მსჯელობა მიმდინარეობს და თუკი იქნება მისთვის მისაღები კონფიგურაცია, შესაძლებელია საკრებულოში, როგორც დამოუკიდებელმა დეპუტატმა, კენჭი იყაროს. ლეკიშვილის შეფასებით, ჯობდა კოალიციის მერობის კანდიდატს დავით ნარმანიას პროგრამულ საკითხებზე საუბარი არ დაეწყო. როგორც ნიკო ლეკიშვილმა აღნიშნა, დავით ნარმანიას მიერ წარმოდგენილი 41 საკითხი არ არის საკმარისი თბილისის პრობლემების გადასაჭრელად. მისივე თქმით, მას შეუძლია 41-ჯერ 41 პრობლემა ჩამოთვალოს, რომელიც თბილისს აწუხებს.

„ალია“

„ივანიშვილმა პოლიტიკა ფორმალურად დატოვა“

– **ამბობს** პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე, – თუმცა, მე ასე არ მივიჩნევ. ის უბრალოდ გადავიდა ჩრდილში და სურვილის შემთხვევაში, ძალიან თავისუფლად შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა პოლიტიკურ პარტიებზე. რაც შეეხება კოალიციის მხრიდან მერობის კანდიდატად დავით ნარმანიას დასახელებას, მიმაჩნია, რომ ეს არ არის ასე იოლად გადასაწყვეტი საკითხი და ასეთი მიდგომა საკითხისადმი ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ შეეცდება ხალხს თვალებში ნაცარი შეაყაროს. არ შეიძლება ქვეყანაში ერთი კაცის ხათრით ავირჩიოთ პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და მისივე რეკომენდაციით ავირჩიოთ ქალაქის მერი.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ◎ ცინცხალი ანეკდოტები

ალადინი დიდხანს ხეხავდა ჯადოსნურ ლამპას. ლამპა ცახცახებდა და ხმამაღლა კვნესობა. მერე სიგარეტი ითხოვა.

* * *

– **ფორთოხალს** შეჭამ?
– არა.
– თუ გავარჩევ?
– კი.

* * *

– **როგორ** შეიძლება ფულის შოვნა, თუ მარტო კომპიუტერი და ფულის გამომუშავების სურვილი გაქვს?
– კომპიუტერის გაყიდვით.

* * *

ებრაულ ოჯახში ვახშმობის შემდეგ მამა ურეკავს შვილს:
– შვილო, აწი ჩვენთან ნულარ მოხვალ.
– რატომ, მამა?
– შენი წასვლის შემდეგ ვერცხლის კოვზები დაგვეკარგა.
– მე არ წამიღია, მამი, ღმერთმანი!
– ვიცი შვილო, კოვზები ვიპოვეთ, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნება ხომ დარჩა...

* * *

– **ეძიმო**, რაღაც არ მაქვს რიგზე. ახლახან მხოლოდ ორმოცისა გავხდი, მაგრამ სარკეში რომ ჩავიხედავ, რას ვხედავ? სიმელოტე, დანაოჭებული სახე, დამჭკნარი ლოყები, ჩაცვენილი კბილები... რა მჭირს?
– ზუსტად თქმა არ შემიძლია, მაგრამ იქნებ არც ისე ცუდადაა თქვენი საქმე? ყოველ შემთხვევაში მხედველობა ნაღდად კარგი გაქვთ.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერეულაძის) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24